ტფილისი
საჯარო ბიბლიოთეკა

სახალხო გაზეთი

№ 965 შაბათი, 10 აგვისტო 1913 წ. № 965

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა“-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი“-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი“ 190.

ტელეფონი № 12-29

გაზეთის ფასი წელიწადში 8 მ. 50 კ., თვეში—75 კაპ.
ცალკე № ყველგან 5 კ., დამატებიანი—7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა

სახალხო გაზეთი
ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით
პირველი აგვისტოდან წლის დამლევამდე, როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარეთ ღირს 3 მ. 75 კ.
თვეში ღირს 75 კაპ.
არ მიიღება ხელის მოწერა ცალკე უდამატებოდ და არც სურათებიანი დამატება იყიდება ცალკე.
მისამართი: Тифлисъ, „Сахалхо газети“ Почт. ящ. 190.

პირველ-ხარისხოვანი
დიდი ცირკი
ძმ. ესიკოვსკებისა
მიხეილის პროსპექტ., მუშტაიდის შესავალთან, ნ. კუნდუხოვის ადგილზე, საკუთარი საზაფხულო გრილი სადგომი, ტრამვაი იქვე ჩერდება და შინ დაბრუნებისასაც მუშაობს.
10 აგვისტოს, 1913 წ. გაიმართება
დიდებული წარმოდგენა,
სრულიად შეცვლილი პროგრამით.
ცირკში მოსიარულეთა შაბათი!
რადგანაც ჰაერის სახელგანთქმულ მეფეების 4 ეშმაკის ნახვა ყველა ტფილისში მცხოვრებმა ვერ მოასწრო, ამიტომ, მიუხედავად აუარებელი ხარჯისა, დირექციამ გააგრძელა მათთან ხელშეკრულობის ლო კიდევ 15 დღით. სახელგანთქმული მოჯირითე ბულგარელი ქალი მარი გამოვა თავის ცხენით „ჩერქესით“ და მთელ რიგ საუცხოვო „ტრიუბს“ გააკეთებს, საყვარელი მუსიკალური ექსცენტრიკები ბრიკარები ახალ ნომრებს შეასრულებენ. მაყურებელთა საყვარელი ოხუნჯები . ვინჩეცოვები შეასრულებენ თავის საუკეთესო ლექსებით გამოსვლას. ხვალ, 11 აგვის., ორი დიდებული წარმოდგენა: დილით—ბავშვთათვის.
დასაწყისი საღამოს 8 ნახევ საათზე.
რექცია ძმ. ესიკოვსკებისა. 541. გამგე: ლ. მ. ხუნდაძე.

ახალი წიგნის მაღაზია
კ. ი. ოცხელისა
ქუთაისში, ალექსანდრეს ქუჩაზე, ზ. კოკოჩაშვილის სახლში გაიხსნა
უდიდესი წიგნის მაღაზია
კონსტანტინე ივანეს ძის ოცხელისა.
ახალ მაღაზიას შეძენილი აქვს მეტად მრავალი სახელმძღვანელო და საკითხავი წიგნი.
ახალ მაღაზიას სურს შეამსუბუქოს პროვინციის წიგნის მაღაზიებს, სასწავლებლებს და წიგნთსაცავებს, რომელთაც დაეთმობათ წიგნები, რაც შეიძლება, ფას-დაკლებით, ამას ყველა დარწმუნდება მაღაზიის პირდაპირი გაცნობით.
ახალი მაღაზია გახსნილია იქ, სადაც აქამდე მთავრიშვილის ყოფილი ამხანაგობის წიგნის მაღაზია არსებობდა; მის გვერდით გამართულია დ. ი. ოცხელის სპეციალური საკანცელარიო მაღაზია, სადაც მოიპოვება ყოველნაირი სასწავლო ნივთი ძლიერ იაფად. 1419

ახალ კლუბთან
არსდება ქალთა და ვაჟთა
მომღერალთა გუნდი
მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ და ჩაეწერნენ კლუბის დირიჟორ
ს. ი. პრესმანთან.
ყოველ დღე დილით 12 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე, ხოლო ღამოთი 9 საათიდან ღამის 11 საათამდე. 1401

ტფილისის კერძო სამკურნალო
ქსენიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და ვეტცელის სასტუმროს ახლოს.
ტელეფონი № 590.
სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრებით და საერთო ოთახები განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.
მწოლიარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი ექიმები-სპეციალისტები:

შინაგანი სნეულებანი.	**მანსვეტაშვილი გ. მ.** ორშაბ., ოთხშ. და პარასკ. 2—3 ს. **მალალაშვილი გ. გ.** სამშაბ. და შაბათობით 10—12. **მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე 12½—1 ს. **ფედოროვი ე. გ.** ყოველ დღე, გარდა ოთხშ. და კვირისა 12—1. **ექ.-ქალ. ენგელ-მელიქ-შახნაზაროვისა ე. ა.** ყოველ-დღე გარდა კვირისა 12—1 ს.
ქირურგ. სნეულებანი.	**მარკევიჩი ვ. ლ.** კონსულტანტი ყოველ დღე 11½—12½. **მელიქიშვილი ნ. ა.** ყოველ დღე 10—1. **ფირადოვი რ. ბ.** ყოველ დღე 12—1.
ქალთა და სამშობ. სნეულებანი	ექიმი-ქალი **მერბიცკი-ფირადოვისა ლ.** ყოველ დღე 11—12. **თიკანაძე ი. ე.** ყოველ დღე 1—2. **მელიქიშვილი ნ. მ.** ყოველ დღე 10—1.
ბავშვთა სნეულ.	**ექ.-ქალ. ბაქრაძე-დედაბრიშვილისა** ყ.-დღე, გარდა ოთხშ. 1—1½ **მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე 12½—1 **ფედოროვი გ. ს.** ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა 12—1.
ნერვიულ. სნეულებ. და ელექ.	**ჯავახიშვილი ნ. ნ.** სამშაბ., ხუთშაბ. და შაბათ. 12—1 **ფონდოვი გ ს.** ყოველ დღე 1—2.
ყელ. ყურის და ცხვირ.	**ათენიანცი ნ. ა.** ყოველ დღე 12½—1½. **ორემბოვსკი ნ. ს.** ყოველ დღე 1½—2.
თვალის სნეულ.	**მუსხელიშვილი ვ. ს.** ორშაბათ., ოთხშ. და პარასკ. 2—2½.
კან. და ვენერ. ავ.	**დიასამიძე ა. ნ.** ყოველ დღე 11½—12½.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. **Wassermann.** რეაქციისათვის 50 კ. საწოლი 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მ.-დან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. დაწყებული ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია, „606“ და „914“ **წამლის შეშხაპუნება**, ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა. შეღავათიანი საფასური. წ. 1035

ავლაბრის ქართულ სახ. წარმოდგენების მმართ.
წრის გამგეობა
ამით აცხადებს, რომ ავლაბრის სახალხო თეატრში
წლიური საზოგადო კრების
გაგრძელება მოხდება კვირას, 11 აგვისტოს 1913 წ. დილის 11 საათზე.
540.

მუშტაიდის ბაღში შაბათს 10 აგვისტოს, კვირას 11 და ორშაბათს 12 აგვისტოს,
ხარფუხის ქართულ სახალ. წარმოდგ. მმართველი წრის თანხის გასაძლიერებლად
გაიმართება დიდი სეირნობა
დიდი და მეტად **საინტერესო პროგრამით.** ბაღში უკრავს სიმებიანი ორკესტრის 2 ხორო. **შესვლა უფასოა. უფასო სინემატოგრაფი.**
დასაწყისი საღამო 5 ს. დაწვრილებით აფიშებში.
543 გამგე **გ. მ. შათირიშვილი.**

ვაგზლის კერძო
სამკურნალო
გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.
ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.
ე. ხ. გამყრელიძე. ყოველ დღე, შინაგანავადმყ. 9½ ს. 10 ს.
ა. ნ. დიასამიძე. ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ., კანისა და ვენერ. 11—11½ ს.
ბ. ა. პოპოვი. ყოვ. დღე, კვირის გარდა. ყელ. ყურ. და ცხვ. სნეულ. 11—11½ ს.
ექ. ქალი თოხელიძისა—იღებს ქალთა ავადმყოფებს. სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით 11—11½ ს.
ნ. მ. მელიქიშვილი. ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.
გ. გ. კლდიაშვილი. ყ.-დღ. შინაგ. ავადმყოფ. 1—2 ს.
მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური, ქიმიური გამოკვლევანი აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა ფასი რჩევისათვის 50 კ.
საკურნ...ლიუმი და კონსილიუმი მიიღებით
წამლობა „606“-ით 1035

საბურთალოზე
მშვენიერ ალაგას
ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდენელ ფასებში.
მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს,** დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე, უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი,** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. წ. 1220

კბილის
ექიმი ა. გ. ხოლოდაშვილი
იღებს ავადმყოფებს
აბასთუმანში.

ელექტრონის და რენტგენის
სამკურნალო
მიხ. გედევანიშვილისა
ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 12—1 ს., საღამოს 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენი სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ. № 20. წ. 1023

ექიმი ნ. ნ. ჯავახიშვილი
ორდინატორად ნამყოფი კიევის ნერვების კლინიკაში. იღებს ნერვებით ავადმყოფებს საღ. 6—7 ს.-მდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა, № 12. **იქვე გამართულია ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი.** 408

ექიმი ი. ი. ბერიშვილი
სწამლობს **საშარდე ორგანოთა, ათაშანგისა და კანის** ავადმყ.; **ვასსერმანის** რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3 — 5½ ს. ელისაბედის ქ., № 94, კიროჩნი ქუჩის ახლოს, საფოსტო განყოფ. პირდაპირ. 102

ექიმი ვ. მუსხელიშვილი
1 მარიამობისთვიდან მიიღებს ავადმყოფებს დილის 9—11½ საათამდე. დიდი ძთავრის ქუჩა № 67.

ექიმი ა. ნ. დიასამიძე
კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 საათ. კვირ. ავად. არ იღებს. მოსკოვის ქ., № 3, სახ. გაბაშვილისა.

ექიმი ა. შ. მიქელაძე
15 ივნისიდან მიიღებს **შინაგან და ბავშვთა** სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ. საათიდან 7 საათამდე ახალ ბინაზე—მიხაილოვის პროსპექტი № 117. ტელეფონი 816.

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

„დენ“-ში დიდი პესიმიზმი გამოუწვევია კიევის სრულიად რუსეთის კოოპერატორთა კრების მიმართ მთავრობის რეპრესიებს. გაზეთი ამბობს, ვეებერთელა კრების შემადგენლობის უმეტესობა ზომიერი მიმართულებისაა და არავითარ შიშს არ იწვევს; მიუხედავად ამისა, მთავრობამ სარეპრესიო ზომა უკვე განახორციელა. გაზეთს მოჰყავს ცნობა, რომ აკრძალეს კრებაზე „ლუჩისა“ და „პრავდას“ გაყიდვა, მაგრამ რა შუაშუა საკოოპერაციო ლიტერატურა, რომელ ლოღიკის ძალით აკრძალესო. თუმცა გაზეთი იქვე დასძენს:

„ლოღიკა და შიში ვერაფერი ამხანაგებია. კოოპერატიულმა კრებამ კი ადგილობრივი ადმინისტრაცია ძლიერ შეაშინა, ვაი თუ რამე მოხდესო“.

არც გასაკვირია შიში ისეთ ადმინისტრაციისა, რომლის წარმომადგენელიც ლექციებს მოხსენებიდან ვერ არჩევს და ორატორს სიტყვას მხოლოდ იმიტომ აწყვეტინებს, რომ, მისი აზრით, წაკითხული მოხსენება კი არა, ლექციაა.

⁂

„რული“ გადმოგვცემს, რომ ხულიგანობის წინააღმდეგ საბრძოლველი კანონ-პროექტი გაგზავნილი იყო სინოდში, სინოდმა განმარტა, რომ

„ხულიგანობა ხალხის სულიერ ავადმყოფობას შეადგენს. ამიტომ საჭიროა მისი განკურნება. რადგანაც ეს ასეა, საჭიროა ენერგიული ზომების მიღება“...

და უწინარეს ყოვლისა კი...

„მღვდელ-მსახურთა ჯამაგირების მომატება“...

განმარტება მეტია!..

ახალი ამბავი

ტფილისი

◆ **წმ. თამარ მეფის ხსოვნა.** როგორც მკითხველებმა იციან, წელს 700 წელიწადი შესრულდა, რაც საქართველოში წმ. თამარი მეფობდა. იუბილეს გადახდა ვერ მოხერხდა სხვა და სხვა მიზეზის გამო. ამის შემდეგ რამდენიმე სასულიერო და საერო პირმა ყოვლად სამღვდელო ანტონის, გორის ეპისკოპოსს, საერთო თხოვნა მიართვა წმ. თამარ მეფის ხსოვნის რითიმე აღნიშვნის საჭიროების თაობაზე. მთხოვნელნი აღნიშნავდნენ, რომ საჭიროა, ტფილისში აგებულ იქმნას წმ. თამარ მეფის სახელობის ტაძარი რაც მათის აზრით შესაფერი უკვდავი ძეგლი იქნება წმ. თამარის ღვაწლ-მოსილობისა და ამის გამო სთხოვდნენ, ეპისკოპოს ანტონის, ეკისრა ამ საქმეში შესაფერი თაოსნობა. სასურველია ვიცოდეთ, რა მდგომარეობაშია ამ ჟამად ეს თხოვნა.

◆ **სეირნობა.** დღეს 10, ხვალ 11, და ზეგ 12 აგვისტოს, მუშტაიდის ბაღში გაიმართება სეირნობა ხარფუხის ქართულ სახალხო წარმ. მმართ. წრის თანხის გასაძლიერებლად. ეს წრე აშენებს საკუთარ აუდიტორიას და ფულიც ამისათვის სჭირდება.

◆ **უბედური შემთხვევა.** გუშინ, დილით, ნავთლუღიდან ქალაქში სადარაჯოდ მოდიოდნენ ჯარის კაცნი უნტერ-აფიცრის მეთაურობით. ისინი რკინის გზის ლიანდაგით მოდიოდნენ. მათ შეეხვა წინ ტფილისიდან ნავთლუღისაკენ მიმავალი მატარებელი უკანიდან კი წამოეწიათ ნავთლუღიდან ტფილისისაკენ მომავალი მატარებელი. ჯარის კაცებმა ლიანდაგიდან გადასვლა როგორც იყო მოასწრეს, უნტერ-აფიცერს მატარებელმა მოასწრო და ფეხი მოსწყვიტა და თავი საშინლად დაუსახიჩრა. გონება-დაკარგული უნტერ-აფიცერი მიხეილის საავადმყოფოში წაიყვანეს.

◆ **პოლიტეხნიკუმი.** მთავარმა საპოლიტეხნიკუმო კომიტეტმა 8 აგვისტოს კრებაზე 1,000 მან. გადასდო ნავთლუღისა და საბურთალოს მიწების გამოსაკვლევად საჭირო ხარჯების დასაფარავად. მიწების ყოველ-მხრივ გამოკვლევა სექტემბრის პირველ რიცხვებისთვის დასრულდება.

◆ **ქალაქის მოურავი ა. ი. ხატისოვი** ტფილისს 11 აგვისტოს დაბრუნდება კისლოვოდსკიდან, სადაც დასასვენებლად არის წასული. ა. ხატისოვი დასასვენებლად 1 სექტემბრამდე უნდა ყოფილიყო, მაგრამ ქალაქის გამგეობამ შილევისეულ სახლის გამო მოულოდნელად დეპეშით გამოიწვია.

◆ **შილევისეული სახლი.** მეფის მოადგილის თანაშემწეობის აღმასრულებლის გენერალ ნ. პ. შატილოვის განკარგულებით მეფის მოადგილის სამმართველოს სატეხნიკო სათათბირომ დაწვრილებით დაათვალიერა შილევისეული სახლი, გაჰსინჯა მისი გადაკეთების პროექტი და იმ დასკვნამდე მივიდა, რომ შენობა მესამე სართულს ვერ დაიჭერს და საჭიროა გოლოვინის პროსპექტის მხრით მთელის შენობის საჩქარო დანგრევა. გუშინ ამის გამო გენერალმა შატილომა წინადადება მისცა ქალაქის გამგეობას, დაუყოვნებლივ შეუდგნენ შენობის დანგრევას.

◆ **საბირჟო ცნობები.** 8 აგვისტოს ტფილისში შეთანხმება არ მომხდარა. პროცენტიან ქაღალდების ფასი შემდეგი იყო: ტფ. ქალაქის საკრედიტო საზოგადოების 5% ობლიგაციებისა: აფასებდნენ—85 მან. 10 კ., აძლევდნენ—84 მან. 45 კ., ტფ. სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის 5% გირავნობის ფურცლებისა: აფასებდნენ—83 მან. 25 კ., აძლევდნენ—82 მან. 65 კ. და ქუთაისის სათავად-აზნაურო სააღგილ-მამულო ბანკის 5% გირავნობის ფურცლებისა: აფასებენ—81 მან., აძლევდნენ—80 მან. 15 კ., და ტფ. საკომერციო ბანკის აქციებისა: აფასებდნენ—340 მან., აძლევდნენ—325 მ. სახელმწიფო მომგებიან ბილეთების საკურსო ნორმა შემდეგი იყო: პირველ სესხის ბილეთებისა—426 მან., მეორისა—353 მან., 50 კ. და მესამისა—315 მან. 50 კ.

◆ **ბიბლიოთეკა.** გუბერნატორმა ნება დართო ქ. შ. წ.-კითხვის გამავრც. საზოგადოებას, გახსნას სიღნაღის მაზრის სოფელ ქვემო მაჩხაანში უფასო ბიბლიოთეკა-სამკითხველო იქაურ სკოლის მასწავლებლის ი. ი. მენთეშაშვილის პასუხისმგებლობით.

◆ **„ნაკადული“** რედაქციამ მიიღო საყმაწვილო ჟურნალ „ნაკადული“-ს მორიგი ნომრები: მოზრდილთათვის (№ 6) შემდეგის შინაარსით:

1—ყვავილებში სურათი. 2—სურათი,—ლექსი ი. სიხარულიძისა. 3—ფარნაოზ მეფე—ისტორიული მოთხრობა, (დასასრული ივ. როსტომაშვილისა. 4—შეხვედრა,—დ. თურდოსპირელისა. 5—უძველეს დროის ბავშვის თავგადასავალი,—მოთხრობა ე. დერვილისა, (გაგრძელება) თარგ. მარიამ იაშვილისა. 6—სტეფანეა შვილი,—(დასასრული) თარგმ. მ. კლიმიაშვილისა. 7—წიგნის ფურცელი,—რუსულით ნ—ისა. 8—შედარებითი ანატომიიდან აღებული ფაქტები,—შემდეგი გ. ანთელიძისა. 9—გასართობი: შარადა და რებუსის ახსნა.

მცირე წლოვანთათვის შემდეგის შინაარსით; 1—ჩემია,—სურ. 2—ბეჯითი ლადო, ლექსი ი. სიხარულიძისა. 3—ლამაზა,—ლეო იმნაძისა. 4—ჩიტ-ბელურა,—ხალხური ზღაპარი გალექსილი, გაგრძელება სტეფ. ძიმისტარიშვილისა კორტოხა. 5—დათვი და ბავშვი,—რობერტსისა (თარგმ.) მაგიტასი. 6—მკითხველის წერილები. 7—გასართობი: გეოგრაფიული ამოცანა, შარადა, რებუსი და ახსნა.

საზოგადოებანი და კრებები

◆ **ქართველთა შორის წ.-კითხ. გამარც. საზოგადოების** გამგეობა უკვე შეუდგა საზოგადოებისა და მის განყოფილებათა 1912 წლის მოქმედების ანგარიშის შედგენას. წლიური კრება საზოგადოებისა შემოდგომაზე იქნება მოწვეული. 1912 წ. საზოგადოებას ჰქონია სულ 19 განყოფილება, რომელსაც ჰყოლია 20,040 წევრი. ყველა, განყოფილებას საწევრო ფული შემოსვლია 6,511 მან., ხოლო განყოფილებათა მთელი შემოსავალი 1912 წელს უდრიდა 33,646 მან.

◆ **ახალ კლუბის.** წევრთა საზოგადო კრება 8 აგვისტოს მოხდა პ. ა. გოთუას თავმჯდომარეობით. კრებამ მსჯელობა იქონია კლუბის საზამთრო შენობის მოწყობის თაობაზე და საჭიროდ სცნო შენობის გაფართოვება. ამ აზრით გადასწყდა, კლუბას საჭიროებისთვის ქარვასლაში აიღონ ორი მაღაზია და შესაფერად გადააკეთონ. ამ საქმისთვის კლუბმა 11,000 მან. გადასდო. ამის შემდეგ კრებამ დაადგინა, 1 სექტემბრიდან 1 იანვრამდე იყოლიოს ორკესტრი, 24 კაცისაგან შემდგარი (ამ ჟამად ორკესტრში 50 კაცია) და მისცეს ოთხს თვეში 9,000 მან., თვეში 2,250 მანეთი—კლუბის ახალ წევრთა და მუდმივ მოსიარულეთა არჩევნების შემდეგ დამსწრეთ ა. ი. კინიანცმა უჩვენა თვის მიერ გამოგონილი ლოტოს სათამაშო აპარატი.

სასწავლებლებში

◆ **თავისუფალი ადგილი.** ქ. შ. წ.-კითხვის გამარც. საზოგადოების გომარეთის სკოლაში მასწავლებლის ადგილი განთავისუფლდა. მსურველებმა თხოვნები წ.-კითხვის გამგეობაში უნდა მიიტანონ.

ქუთაისი

◆ 7 აგვისტოს ღამით, ქუთაისის საგუბერნიო სატუსაღოში ჯარი გაიწვიეს. მეორე დღეს გამოირკვა, რომ ტუსაღ საყვარელიძეს ბორკილები გაეტეხა. როცა ციხის ადმინისტრაციას ხელახალი ბორკილების დადება განუზრახავს, მას წინააღმდეგობა გაუწევია და ყვირილი დაუწყვია: „მომკლესო“. ამას ტუსაღების არეულობა გამოუწვევია, დაუწყიათ კარების მტვრევა. ტუსაღები ჯარის მიყვანის შემდეგ მალე დამშვიდებიათ.

◆ შორაპნის მაზრაში ს. კლდეეთში ამ დღეებში ნახეს მოკლული ადგილობრივი გლეხი ბუხრაშვილი, დამნაშავე ჯერ არ აღმოუჩენიათ და არც მკვლელობის მიზეზია გამორკვეული.

ჭიათურა

◆ ჭიათურის ქართულ დრამატიული საზოგადოების გამგეობა უკვე შეეკრა პირობით და სეზონისათვის მიიწვია რეჟისორად კ. ანდრონიკაშვილი და მსახიობად ქ-ნი ქილარჯიშვილი. სეზონი დაიწყება სექტემბრის პირველ რიცხვებში.

ჟურნალისტის დღიური

141.

კლუბის ბოგდიხანები.

არ ვიცი სხვები რას იტყვიან, მაგრამ მე რომ ახალ კლუბში შევდივარ, პირველადვე მამასახლისები მეცემიან თვალში. ძნელია პროფესიონალი ჟურნალისტის ხვედრი. იგი იძულებული ჰხდება ჰხშირად ისეთს რამეს მიაქციოს ყურადღება, რასაც სხვა არავითარ ყურადღებას არ მიაქცევდა. მაგრამ ეს არა კმარა. ჟურნალისტი მოვალე ჰხდება სხვასაც დაანახვოს ის, რაც ყოველდღიურ ცხოვრების კარ-ტეხილში შეუმჩნეველი რჩება. ამიტომ ნუ მიწყენს მკითხველი, თუ მის ყურადღებას მივაქცევ ზოგიერთ წვრილმანებზე,

რომელთაც ფრიად დამახასიათებელი მნიშვნელობა აქვთ.

ახალი კლუბის მამასახლისებზე ვლაპარაკობდი. როგორც მოგეხსენებათ, მამასახლისები კლუბის ხელმძღვანელები არიან. უექველია ბევრი თქვენგანი ნახავდა, როგორის გატაცებით „ხელმძღვანელობენ ეს მამასახლისები კლუბს და როგორის საკუთარის ღირსების პატივისცემით აძლევენ განკარგულებას. ნამდვილი ბოგდიხანები გეგონებათ. აი, მაგალითად, ერთი ამ ბოგდიხანთაგანი წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სეირნობის გამართვის დროს რიხიანად იძახდა: „სანამ მე კლუბის მამასახლისი ვარ, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება კლუბის ბალს თვალითაც ვეღარ ნახავსო". მოსეირნე ხალხს. თურმე, ბალი გაუფუჭებია. შემთხვევით გვერდით ვიდექი და ეს სიტყვები რომ გავიგონე, გამეცინა: ბოგდიხანია, ბრძანება გასცა-მეთქი. მეორე შემთხვევაც მახსოვს, სტუმრები ცეკვავდნენ. გაისმა მამასახლისის რიხიანი ხმა: შეაჩერეთ მუსიკა! მუსიკა შეაჩერეს. რა ამბავია? რა მოხდა? „ცუდადა ცეკვავენ, არ შეიძლებაო". წავიდ-წამოვიდა მხიარულად მოკისკისე ახალ-გაზრდობა. მე ისევ მეცინებოდა: ესეც ბოგდიხანია, ესეც ბრძანებლობს მეთქი. არ გავიდა დიდი ხანი და მესამე შემთხვევას შევეხეჩე. სტუმრები ცეკვავდნენ. წვიმა წამოვიდა. ხალხი საცეკვაო დარბაზს მოაწყდა. მამასახლისი ვახშმობდა. წვიმამ რომ დაუშინა, თავისი მაგიდა საცეკვაო დარბაზის თითქმის შუა გულ-ადგილას გამოჰქიმა. როდესაც დირიჟორმა ეს შენიშნა, რიხიანად დაუწყო ლაპარაკი, ალბად ეუბნებოდა, ეგ თქვენი საქმე არ არის, ხომ ხედავთ გახშამსა ვსჭამო. მინდოდა დირიჟორთან მივსულიყავი და მეთქვა: ყმაწვილო, თავი დაანებეთ, ეგეც ბოგდიხანი არის მეთქი.

კიდევ ბევრი ამისთანა ამბები შემეძლო ჩამომეთვალა, მაგრამ ცოტა არ იყოს მეშინიან. ჯერ ერთი, შეიძლება მამასახლისებმა ჩემს წერილში რაიმე პირადი მტრობა და შეურაცყოფის სურვილი დაინახონ, მეორეც, ზოგიერთმა მათგანმა უცნაურად იცის ჯავრის ამოყრა: ბრძანებას გასცემენ, „სახალხო გაზეთს" განცხადებას ნულარ მივცემთო. ერთხელ ასეთი ბოგდიხანური ბრძანებაც გაიცა ახალ კლუბში.

როგორც ხედავთ, ბრძანებისა და განკარგულების გაცემა კარგადა სცოდნიათ კლუბის მამასახლისებს. მაგრამ „მაგარიც" ის არის, რომ განკარგულების გაცემა სწორედ იქ დაავიწყდებათ ხოლმე, სადაც საჭიროა. რამდენი ხანია ახალმა კლუბმა წერა-კითხვის გამავრცელებელ და საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებათა სასარგებლოდ განსაზღვრული თანხა გადასდო. აი რამდენი ხანი გავიდა მას შემდეგ, ორივე საზოგადოებამ კლუბის კარები სიარულით გაუტკალახიანა და ფულს კი ვერ ეღირსა. ერთი ამ საქმეშიაც გამოიჩინეთ ბოგდიხანობა, თქვე დალოცვილებო.

შინაური.

ბინის საკითხი ტფილისში

„საოცრად იზრდება ტფილისი, ძალიან გაიწია" მუდამ გაიგონებთ ხოლმე ისეთ საუბარს. მაგრამ განა ამით შუათანა შეძლებისა და მით უფრო ღარიბ მცხოვრებს ეშველა რამე? არაფერი. პირიქით, ქალაქის გადიდების გამომწვევმა მცხოვრების რიცხვის გადიდებამ აქ ყველაფერი ისე გააძვირა, რომ ცხოვრება შეუძლებელი გახდა. სანოვაგესა და პირველ საჭიროების ნივთეულობაზე ბაას არ გავაგრძელებთ, შევეხებით მხოლოდ ბინის საკითხს: ვისაც კი ოჯახობა არა ჰყავს, და საქირავებ ბინის ძებნა არ დასჭირებია, იგი ვერას დროს ვერ წარმოიდგენს, თუ რა „სცილლა და ხარიბდა" უნდა გაიაროს, სანამ ცოტაოდენ რიგიან ბინას იპოვიდეს ხელმისაწვდომ ფასში.

ხუთი ოთახია, პატარეები, ორი ბნელი, ბევრი ნაკლი აქვს, მაგრამ მეტი რა გზაა—უნდა იქირაო.

— რა ეღირება?

— უკანასკნელი 75 მანეთი. თუ ორი ოთახიც ნათელია, მაშინ უფრო ძვირი.

შეშინებული მოქირავნე ბნელ ოთახებს მოიმიზეზიანებს:

— ორი ოთახი ბნელია!

— მაშ ეხლა 75 მანეთისათვის ოთახებში მზესაც ჩამოგიტან!...— გაჯავრებით გიპასუხებთ სახლის პატრონი და შემდეგ არც კი გელაპარაკება.

ქვედა სართულში სამი-ოთხი ოთახია; უკანა კედელი მიწაშია და სინესტეა. ამის აღნიშვნაზე სახლის პატრონი გაჯავრებული ამბობს:

— არ გეკადრებათ აი, თქვენმა მზემ. ცოტა დაიცადეთ, ესევე ოთახები თუმნით უფრო ძვირი იქნება.

საბრალო დამქირავებელი კი დილის დილიდან საღამომდე და სწყევლის თავის ბედს, სახლის პატრონებს, ქალაქის ცხოვრებას, თავის სიცოცხლეს.

ჩვენი ხალხის ღარიბი უმეტესობა, რომელთა წლიური შემოსავალი 300—400 მანეთს არ აღემატება, წელზე ფეხს იდგამს, რათა როგორმე რაიმე სახლს თავი შეაფაროს და ცოლშვილიც გამოჰკვებოს. ამათთვის, რასაკვირველია ორი ოთახის შოვნაც კი საძნელოა. ამ დროს კი სამი ოთახი, თუ ნათელია და სუფთა 35 მან.—45 მანეთამდე ადის ქალაქის განაპირებში. რა უნდა ჰქნას ღარიბებმა, რომელნიც ისეთ მდგომარეობაში არიან ჩაცვივნულნი, რომ ნატრობენ: „რადა ვცხოვრობთ კულტურულ საუკუნოებში, სად არის ის დრო როცა ადამიანები ველურები იყვნენ, „ცის ქვეშა" სცხოვრობდნენ და ბინის ძებნა არ უხდებათო".

მაგრამ რა არის მიზეზი ბინების ასეთი გაძვირებისა. თუ პეტერბურგსა, მოსკოვში, ოდესაში და სხვა ქალაქებში შეიძლება 30—40 მანეთად სამი კარგი ოთახის შოვნა წყლით და შეშით, ნუ თუ ტფილისში ბინები ამ ქალაქებზე ძვირი უნდა იყვეს? რასაკვირველია ყველა მიზეზების გამორკვევას ჩვენ არ გამოვუდგებით. მხოლოდ ჩვენ გვაინტერესებს ერთი გარემოება: ის გულგრილობა, რომელსაც ამ საჭირბოროტო საკითხისადმი ჩვენი ქალაქის გამგეობა იჩენს, არავითარი ზომა, ბაასიც კი არა ყოფილა ამის შესახებ. ნამდვილად კი ყველაზე მეტი ყურადღება ამ საქმეს სწორედ ქალაქის თვითმმართველობამ უნდა მიაქციოს. ბინის საკითხი საჭირბოროტო საკითხადაა გადაქცეული არა მარტო ტფილისში, არამედ ყველა დიდს ქალაქში. იქ ზომებსაც იღებენ. იმუშავებენ ათასნაირ გეგმებს ბოროტებასთან წესიერ ბრძოლის საწარმოებლად. ბინის სივიწროვესთან ბრძოლა ყველა მუნიციპალიტეტების ერთი უმთავრესი საქმეთაგანია. იკვლევენ ბინის სივიწროვის მიზეზებს, სცდილობენ შეიმუშაონ პრაქტიკული ზომები და სხვა.

აღარაფერს ვიტყვით ისეთს ზომაზედ, როგორიც არის ქალაქის ხარჯით იაფ ბინების გაშენება. ეს ზომა ჯერ-ჯერობით სრულიად მიუწდომელი დარჩება ჩვენი ჯიბე-გამოცარიელებულ საქალაქო თვითმმართველობისთვის.

კორდელი.

დედააზრი ქალთა მოძრაობისა

(ბიკერმანის წერილიდან)

ქალი ებრძვის კაცს, ხოლო კავშირი ამ ორს მებრძოლ არსების შორის მჭიდროა და სამარადისოდ დაურღვეველი. ეს კავშირი უფრო მჭიდროა, ვიდრე კავშირი პატრონსა და მუშას შორის, მიწის-მუშას და მიწის შორის, მშობლებსა და შვილებს შორის. განა შესაძლებელია თანასწორობა ასეთ მჭიდრო კავშირის დროს, შესაძლებელია განუყრელი ერთობა ისე, რომ ერთს არ ჰქონდეს გადამეტებული უფლება? ან ბრძოლა ქალისა მამაკაცთან, ძმვავე ბრძოლა ორის გაერთებულის არსების ფარგალში არ განუმზადებს დიდ განსაცდელს კაცობრიობას? ეს კითხვები ძალაუნებურად ებადება ადამიანს, როცა უკვირდება ქალთა მოძრაობას.

უძველეს დროიდან, როცა ველური, ნადირსავით დაიჭერდა ქალს და შეთოკილს წაათრევდა სახლში, ჩვენს დრომდე ქალის და კაცის თანასწორობა არ ყოფილა. მამაკაცია გაბატონებული და ამის შედეგი ჩაფლულია ჩვენი ცხოვრების ყოველს ნაჭუჭში. იცვლებოდა სახე ქალის დამოკიდებულობისა, მაგრამ იგი მუდამ იყო. ჯერ ბატონი ყავდა ქალს, შემდეგ გაუჩნდა ოპეკუნი, ოპეკუნობაზეა (მზრუნველობაზეა) აგებული ოჯახის წყობილება, ამაზეა დამკვიდრებული ქალის და კაცის ურთიერთობა საზოგადოებაში. ის ქალურობა, რომელსაც შეაქებენ მგოსნები კეთილხმოვან ლექსებით და მშვენიერ პროზით, არსებითად არა მარტო სილამაზე და სინაზეა, არამედ სისუსტეცაა, და სადაც სისუსტეა, იქ ოპეკაცაა, მზრუნველობა.

მზრუნველობამ არა თუ მოსჭამა თავისი დრო, იგი თანდათან იზრდება და იკავებს ქალის მონობის ადგილს. ის ფრთხილი განვითარებული დამოკიდებულობა ქალთან, რომელიც განვითარდა საშუალო საუკუნოების რაინდობის დროს, დღეს გადადის მდაბალ წრეებში და უფრო და უფრო ვრცელდება. ნოქარი და მკერავი ქალი—დღეს რაინდი და ქალბატონია, წინად თუ ქმარი, როგორც ძლიერი არსება სცემდა ცოლს, დღეს იგი თავაზიანად მიაწოდებს ხოლმე ცოლს წამოსასხამს. აქ წვრილმანებში გამოიხატება ჩვენი ცხოვრების წესწყობილების შეცვლა.

მდაბიო ადამიანს უნდა, ისეთი იყოს ქალი, როგორიც შექმნა მაღალი წრეების ცხოვრებამ, არა მონა, არამედ მზრუნველობით დაფარული ცხოვრების სიმწვავისა და შრომის ტვირთისაგან. მაშინ როდესაც საშუალო წრეების ქალი უფრო და უფრო ეწაფება შრომას, მუშათა წრეებში იმას სცდილობენ, რომ რაც შეიძლება სრულიად გაანთავისუფლონ ქალი სავალდებულო მუშაობისაგან ოჯახის გარეშე. სადაც კი ქირა ნებას აძლევს, ქმარი სიამოვნებით უარს ამბობს ცოლის დახმარებაზე და უნდა, რომ ცოლი ოჯახს უვლიდეს მხოლოდ, იყოს კმაყოფილი, სუფთა და მართალი,— ეს ოცნებაა ყოველის მუშის, რომელიც მთლად არ დაუბეჩავებია გაჭირვებას, თუ ამას მიაღწია, ეს მისი სიამაყეა და ბედნიერება.

ოჯახს შემოსავალს უნდა აძლევდეს ერთ-ერთი წევრი, ხოლო რომელი წევრი ოჯახისა უნდა იბრძოდეს არსებობისათვის—მამაკაცი თუ დედა-კაცი? ამის პასუხი თვითონ ბუნებამ მოგვცა [illegible]. ქალი მუცლით ატარებს შვილებს, შობს ტანჯვით, ასაზრდოებს, მაგრამ იგი ცუდი მრჩენელი იქნებოდა ოჯახისა. მას შეუძლიან მარტო თანამშრომლობა და ისიც ზოგიერთ შემთხვევაში. თუ ქალს საერთო შრომის ფარგალში ჩავაბამთ, თუ დავაკისრებთ საერთო ტვირთს გარდა იმისა, რაც დაკისრებული აქვს თვით ბუნებისაგან, მაშინ ჩვენ დავუბრუნდებით ქალთა მონობას პირველყოფილ დროებას, და რამდენად ეს დღეს არსებობს მდაბალ წრეებში, იმდენად სამწუხაროა და საუბედუროა.

ქალს არ შეუძლიან შრომაში გაუთანასწორდეს კაცს, მაგრამ მათი თანასწორობა შეუძლებელია თავისუფლებაშიც. ერთმა ჭკვიანმა განათლებულმა ქალმა, რომელიც საკუთარის შრომით ცხოვრობდა, სთქვა: ქალი კაცს მაშინ გაუთანასწორდება, თუ მამაკაცები შობენ ვაჟებს და დედაკაცები—ქალებს. ქალი დაბადებიდან არაა თავისუფალი და რაც უნდა უფლებები მიანიჭოთ, მამაკაცსავით ვერ განახორციელებს თავისუფლებას სინამდვილეში. ქალი იბადება დაჩაგრული და ესაჭიროება მზრუნველი, მომვლელი, დამხმარე. ნურავინ მიგვითითებს იმაზე, რომ დღეს მრავალ დარგში მამაკაცებთან ერთად ქალებიც მუშაობენ. ეს ძველი მონობის ნაშთია და განვითარება მას სრულიად მოსპობს, რადგან გზა განვითარებისა არის გზა ქალმონობისაგან ქალბატონობისაკენ.

იტყვიან: თუ სრული გათანასწორება მოუხერხებელია, საუკუნოებით დამყარებულ საზოგადოებრივს წესებს რისთვისღა ამხობთო? ვუპასუხებთ: ეს წესები დიდი ხანია დარღვეულია. საერთო ცხოვრება მეტად გაიზარდა, საზოგადოების ყოველი წევრი ჩაბმულია საერთო ფერხულში, ერთი მეორეზეა გადაჭედილი, განმარტოება და განცალკევება მოისპო, ერთი ნაწილი მეორეში გადადის, ერთი მეორეს ეჯახება. ეხლანდელი კულტურა ყველას ამოძრავებს და ამ საზოგადო მოძრაობაში დიდი ხანია ჩათრეულია ქალი. იგი ცხოვრობს საერთო ცხოვრებით და ამით უკვე გადაჭრილია მისი უფლებაც მას სწყურიან, მონაწილეობა მიიღოს საერთო სცხოვრების მოწყობაში და წყურვილი უნდა დაუკმაყოფილდეს, უნდა მიენიჭოს უფლებრივი თანასწორობა. ქალის ბრძოლა ამ თანასწორობისათვის, ქალთა მოძრაობა მხოლოდ ერთი წამია კაცობრიობის საერთო მოძრაობისა და განვითარებისა. ქალი შეიქმნა წევრი საზოგადოებისა, იგი მონაწილეა ცხოვრებისა, მაშასადამე ეს მოვლენა უნდა დაკანონდეს, უფლება ქალისა უნდა აღიარებულ იქმნას.

თუ ბუნებამ მიანიჭა ქალს ერთნაირი უთანასწორობა, ეს უკანასკნელი უფრო კი არ უნდა გამტკიცდეს და გაღრმავდეს. პირიქით, საზოგადოებრივი განვითარება მოითხოვს, რომ [illegible] ქალს შეუმსუბუქდეს სოციალური ტვირთი, მონობა შეიცვალოს მზრუნველობით (ოპეკით), უუფლებობის ნაცვლად დამკვიდრდეს შეღავათები. ამის განხორციელებისაკენაა მიმართული მრავალი მილიონის ქალის მისწრაფება და ესაა დედააზრი ქალთა მოძრაობისა, საკითხისა.

ამ საკითხის გადაწყვეტაში არავითარი წინააღმდეგობა არაა მამაკაცსა და დედაკაცს შორის. და თუ გადავავლებთ თვალს ქალის მიერ განვლილს გზას და გავითვალისწინებთ გასავლელ გზასაც, განვიხილავთ იმ ღრმა ცვლილებებს, რომლებიც მოხდა ქალის არსებობის პირობებში და
რომლებიც არავის [illegible]
თავის თავად უნდა გაჰქრეს შე
ქალებისათვის უფლებების მინიჭე
წინაშე. ქალი იყო მონა, ხასა, ც
ლი და დიასახლისი, ეხლა იგი უფრ
და უფრო ქალბატონი ხდება,
მიუხედავად ცვალებადობისა, მუ
ქალი იყო, დამცველი სიყვარულ
ღვთაებრივი ცეცხლისა, დედა, ძუძ
მაწოვებელი და აღმზრდელი. ხ
ბოდა ღრმა ცვლილებანი საზოგ
დოებისა და ოჯახის წესწყობილ
ბაში, მაგრამ თანხმობა ქალსა
კაცს შორის არ დარღვეულა,
ლურობა არ ჩამქრალა, სილამაზე
სიხარული არ დამქნარა. ნუ თუ
ყველაფერი მოისპობა ეხლა, თუ
ნონებში შევცვლით რამდენს
მუხლს და ქალს მივანიჭებთ უფლ
ბას, უფლებას, რომელიც მას შე
სუბუქებს ტვირთს და აამაღლებს
ბევრჯელ ყოფილა ქარიშხალი, მ
რამ მის შემდეგ ბულბული ისევ გ
ლობდა სიყვარულის სიმღერას,
ლი ბრწყინავდა სიმშვენიერით
ყვავილებით შეამკობდა რაინ
მოფერებულს თავს; ქალი შობ
შვილებს, აღზრდიდა და რამდენად
შეეძლო მონაწილეობას იღებ
საერთო შრომასა და ცხოვრებაში.

ქართველ საზოგადოებ

ქლექის გავრცელების მხრით
ქართველოს კულტურულ ქვეყნ
შორის, სამწუხაროდ, ერთი უპირვ
ლესი ადგილთაგანი უჭირავს. მე
ციფრებს ვერ დავეყრდნობი, ვინა
დან ასეთი სტატისტიკა ჩვენში ჯ
არც კი არსებობს, მაგრამ ცოტა
ცი იქნება ქართველ ოჯახი, რომე
საც არ სწვევოდეს ეს მუსრი კაც
ბრიობისა. ალა-მაჰად-ხანის შემოს
ვას არ გაუნადგურებია იმდენად ჩ
ნი ქვეყანა, როგორც ქლექს. უ
ლაზე სამწუხარო და სავალალო ის
რომ იღუპება არა მარტო თანამ
დროვე თაობა, არამედ ითესება თ
ლი მომავალი თაობათა გასანადგურ
ბლად და დასაკნინებლად. საქმე ი
შია, რომ ქლექიანი მშობლების შ
მომავლობაც ადვილად ითვისებს
საშინელ სენს. ქლექი გვტაცებს
ლიდან ჩვენი სამშობლოს საუკეთ
სო შვილებს. მარტო უკანასკნე
წლის განმავლობაში დავკარგეთ ო
საუკეთესო თანამემამულე: არც
გაციებულიყო პროფ. ხახანაშვილ
გვამი, რომ იძულებული გავხდ
არჩილ ჯორჯაძე დაგვეტირა.
დღეს აღარ მოიპოვება არც ერთ
ცოტად თუ ბევრად განათლებულ
ქვეყანა, სადაც ამ საშინელ სენის
თვის ბრძოლა არ გამოეცხადო
დასავლეთ ევროპაში, სადაც ერთ
მხრით თანდათან ფეხს იკიდებს სო
ციალურ-სანიტარული ხასიათის ს
შუალებანი (სანიტარული მუშაო
კანონმდებლობა ჰ სხვ.), ხოლო, მეო
რე მხრით, ვრცელდებიან სახალხო
სანატორიუმები, ამ უკანასკნელი 5

ეკონომისტი— არჩილ ჯორჯაძე

2 *)

კრიტიკულად შემუშავებულ მსოფლმხედველობით აღჭურვილი არჩილ ჯორჯაძე იწყებს საქართველოს ეკონომიურ ცხოვრებაზე საუბარს, პოლემიკა-ბრძოლას. საკითხავია, რა შეხედულებას ანვითარებდა ამ ბრძოლაში არჩილ ჯორჯაძე? რა აზრებს იცავდა, საით მოგვიწოდებდა?

საქართველოს მთელი ეკონომიური ცხოვრება, ძველიდგან დაწყებული თანამედროვე ხანამდე არჩ. ჯორჯაძეს შესწავლილი ჰქონდა. ის საზოგადოდ არ იყო მიჩვეული გაურკვევლობას და ამიტომ ჩვენს მწერლებს ხშირად აყვედრიდა: როდესაც იბრძვით და აზროვნობთ, **ყველა არსებულ ნაწერებს**[1]) უნდა გაუწიოთ ანგარიში. თვითონ ჯორჯაძე ამ მხრით იდეალური პიროვნება იყო. ყოველი თხზულება საქართველოს ეკონომიური ცხოვრების შესახებ მას შესწავლილი და გაცნობილი ჰქონდა. პირველი, მეორე თუ მესამე წყაროები მის ნაწერებში უხვად არის გამოყენებული; ჯორჯაძე ხშირად სარგებლობდა აგრეთვე იმ მასალით, რომელსაც პირდაპირი კავშირი არა ჰქონდა ეკონომიკასთან, როგორც მაგალითად ჩვეულებებს, ზეპირ-გადმოცემებს, სახალხო თუ სათავად-აზნაურო გუჯრებს, ნაშთებს და ყოველგვარ ლინგვისტიურ თუ ეთნოგრაფიულ მასალებს, რომელთაც კრიტიკულად განხილვა და მეცნიერულად დაფასება შესაძლებლად ხდიდა ცხოვრებაზე მთლიან შეხედულების შემუშავებას.

საქართველოს ძველი ცხოვრების გაგებაშიაც ის კრიტიკულად მოაზრე პიროვნება იყო. დოგმატიკას და უკიდურესად განსაზღვრულ კლასიფიკაციას არ. ჯორჯაძე არ ინელებდა და ამიტომ, კონკრეტიულ მასალებით შეიარაღებული, ებრძოდა იმ ყალბ შეხედულებას, რომელსაც მარქსისტულ სქემის თანხმად ანვითარებდა ჩვენში ნოე ჟორდანია. ნოე ჟორდანია პირდაპირ აღიარებდა, რომ საქართველოს მეურნეობრივი (**хозяйственный**) განვითარება სწარმოებს იმ სქემის მიხედვით, რომელსაც იღებდა კარლ მარქსი, ან, უკეთ, მარქსის სკოლა.[2]) პირველყოფილი მდგომარეობა, ფეოდალიზმი და კაპიტალიზმი—აი საფეხურები, რომლის მიხედვით განვითარდა და ვითარდება საქართველოს ეკონომიური ცხოვრება და ამ სქემას ნ. ჟორდანია ისე უკრიტიკოდ, ისე დოგმატიურად იყენებდა, რომ თვით რეალურ ფაქტებს საქართველოს ძველი ეკონომიური ცხოვრებიდან უყურადღებოდ სტოვებდა. ნ. ჟორდანია ეკონომიურ ცხოვრების განვითარებას ქედუხრელ პროგრესს უმორჩილებს, არჩილ ჯორჯაძე კი იღებს პრინციპს ევოლიუციისა, მაგრამ ის აქაც ფრთხილი და წინდახედულია. „მართლაც-ამბობს ჯორჯაძე-ჩვენი ისტორია პროგრესისაკენ ძისწრაფების სწორ ხაზს სრულიად არ წარმოადგენს, ხაზი არსად არ სწყდება, ხოლო იგი ათასგვარად იკლაკნება და იგრიხება და ამრიგად ვითარდება, რთულდება და წინ მიდის[3]) ამიტომ არჩილ ჯორჯაძე შესაძლებლად სცნობდა ჩვენს ცხოვრებაში ყოფილიყო ხანა დაქვეითებისა და უკან დაწევისა[4]) მართლაც, საქართველოს ძველი ეკონომიური ცხოვრება ამ დებულება-აზრის სრულ სიმართლეს წარმოადგენს; ჯერ ქრისტეს დაბადებამდე ევროპასა და აღმოსავლეთის ურთ-ერთ შორისი კავშირი, აღებ-მიცემობა ერთიანად აჟივილ-ხივილებდა საქართველოს ცხოვრებას, რომელიც უცხო ქვეყნების მოძრაობის ზედ-გავლენას განიცდიდა და მით მოძრაობაში მოდიოდა. ქალაქების გაშენება, სავაჭრო ცენტრების დაარსება, სააღებ-მიცემო სახლების, ბირჟების, კანტორების, სამრეწველოების, სახელოსნოების და სხვათა წარმოება ქართველ ხალხის ძველ ცხოვრებას მეტის-მეტად აწინაურებდა და დღეს მრავლად მოგვეპოვება იმის საბუთები, რომ ამ კულტურის მესვეურები და ჩვენში არსებულ ფაქტორია—ქალაქების გამშენებელნი იყვნენ არა მარტო ბერძნები, რომაელნი, თუ სხვანი არამედ ვაჭრობასა და მრეწველობის ასპარეზზე გამოდიოდნენ თვით ქართველნიც, რომელთაც ისტორიკოსნი სხვა და სხვა ქალაქებში ხვდავდნენ სავაჭროდ წასულებს. ნოე ჟორდანია ჯორჯაძესთან კამათის დროს უარყოფდა საქართველოს ძველ კულტურის ასეთ სიღიადეს და ნათლავდა მათ ჯორჯაძის ზღაპრებად. მაგრამ ჯორჯაძემ ამეტყველა საპასუხოდ აუარებელი კონკრეტული მასალა თავის თეზისის დასაცავად, რის შემდეგ ჟორდანია პირდაპირ იძულებული გახდა ეწამა პირველყოფილ კულტურის არსებობა ჩვენში, ხოლო იმას-და ჩასჭიდა ხელი, რომ აღიარა: კულტურა ქართველობის ხელში კი არა, უცხოელების ქმნილება იყო, უცხოელები წავიდნენ, კულტურაც დაეცაო. ამ ხანის შესახებ საკმაოა ანა-ბანა იცოდეთ, რომ ნ. ჟორდანიას ეს მოსაზრება ყოვლად უსაფუძვლოა და ის სრულიად ვერ არკვევს სინამდვილეს. აბა დააკვირდით ნამდვილ ცხოვრებას. ვინ იტყვის, უცხოელების კულტურა, თუ ეს კულტურა რომელიმე ხალხში ვითარდება, ამ ხალხზე გავლენას არ ახდენს. ჩვენში დღესაც მთელი კულტურა, აღებ-მიცემობა უმთავრესად უცხოელების ხელშია, დღესაც სამრეწველო საქმეები დაარსებულია ინგლისელების, ფრანგების, რუსების და სხვათა მიერ, მაგრამ ვინ იტყვის, რომ ამ კულტურულ მუშაობას ჩვენს ხალხზე გავლენა არ აქვს და მას ჩვენი ერის ძალები არ მოჰყავს მოძრაობაში? თუ ბერძნები და რომაელნი აშენებდნენ ჩვენში ფაქტორიებს, ქალაქებს, ნავთსადგურებს, ხსნიდნენ მდინარეთა არხებს, აშენებდნენ ხომალდებს და სხ., ნუ თუ ყველა ამ სამშენებლო საქმეებში არ ერეოდა მკვიდრი, ჩვენი ხალხის მუშა, ჩვენი უნარი, იარაღი, მიწა, წყალი? ნუ თუ ფაქტორიების გასაშენებლად შეიძლებოდა ყოველ მასალის ევროპიდან მოტანა, მუშებიც იქაურები იყვნენ, ხოლო ადგილობრივ ყოველისფერში ბოიკოტი ჰქონდა გამოცხადებული? მაგრამ ეს ხომ მართლ-რომ ზღაპარია და ზღაპარი, ნ. ჟორდანიას მიერ შექმნილი-გამოგონილი და არა ნამდვილი ცხოვრება საქართველოს ძველი ხანისა, რომელიც საინტერესოდ „გვისურათებს—როგორც არჩილი ამბობდა—ჩვენი წარსული დროის ხასიათს და ვითარებას. ჩვენს წინ რთული სამოქალაქო წესწყობილებაა, განვითარებული ცხოვრებაა თავის სპეციალურის ორგანოებით, ჩვენ წინ დიფერენციაციაა საზოგადოებრივ ფუნქციებისა და ორგანოებისა, რაიცა მაჩვენებელია მოქალაქობრივ წარმატებისა. ჩვენი ისტორიის ამ ხანაში ველურობას და ბარბაროსობას ადგილი არ აქვს, ეს უკვე ცივილიზაციის ხანაა".[5])

სხვა და სხვა მიზეზების გამო, რომელთაც გამოკვლევა ჩვენს საქმეს არ შეადგენს აქა, საქართველოს ქედუხრელად განვითარება შეუძლებელი შეიქნა. „ცხოვრების განვითარება სწორხაზიანობით მსვლელობას არასოდეს არ წარმოადგენსო"—ამბობდა არჩილი და მართლაც, საქართველოს კულტურა ისევ დაეცა, დაეცა არა იმიტომ, რომ საქართველოდან აიბარგნენ, დაამტვრიეს და დამსხვრიეს გაშენებული ქალაქები და საქმები ევროპიელმა, არამედ ჩვენი კულტურა ევროპის კულტურასთან ერთად დაეცა, რაიცა უმწვერვალესად განვითარდა მე XIV—XV-საუკუნეში, როდესაც ვაჭრობა-აღებ მიცემობის მიმართულება სრულიად შეიცვალა ერთის მხრივ ველურ ხალხის ზედ-გავლენით და მეორე მხრივ ახალ სავაჭრო გზის აღმოჩენით.

საქართველოს ძველი კულტურის დაცემა ერთის ხელის დაკვრით, უკვე არ მომხდარა როგორც ამას
ნ. ჟორდანია ჰფიქრობს. რაკი საგა
რეო ცხოვრების სიცხოველეს მო
სწყდა ჩვენი ცხოვრება, რადგანა
კარჩაკეტილობას საფუძველი ჩაეყა
რა, ეს კარჩაკეტილობა შინაურ გან
წყობილების მიხედვით თან და თა
წინ წავიდა, ძალები დაიქსაქსა, დაუ
ძლურდა და ხალხი, მხარე, თემი თუ
გვარი მოემწყვდა ვიწრო ფარგალში
საიდანაც შემდეგ ჩამოყალიბდა წმინ
და წყლის ფეოდალური წეს-წყო
ბილება.
ფეოდალიზმისა და განსაკუთრებით
სახელმწიფოებრივობის წარმოშ
ბის ისტორია ჩვენ გვასწავლის, რო
ასეთი ბატონ-ყმური მდგომარებ
მყარდება მხარის საერთო უძლურე
ბით. ხალხის დამონავება შესაძლე
ბელი ხდება ცხოვრების ვიწრო ფარ
გალში და ფეოდის ცხოვრების ქვა
კუთხედად გამოცხადების ხანაში. რა
კი ფეოდალი ხდება ყველაფერი ცხ
დია, ის ხელში ჩაიგდებდა პოლიტი
კურ ძალა-უფლებასაც. საქართვე
ლოში სწორედ ისე იყო. ბატონ-ყმუ
რი წეს-წყობილება ჩვენში უადრესად
სამეფოს ჩარჩოში ჩამოყალიბდა. ამა
აშკარად ხედავს არჩილ ჯორჯაძ
და აღიარებს, „რომ ქართულ სამ
ფოს ჩარჩოში ბატონ-ყმობის ინ
სტიტუტი მკვიდრდება"[6]) ხოლო პო
ლიტიკურის მდგომარეობის მხრი
ეს ხანა ხასიათდება „ერთფეროვნ
და ფეოდალების ერთმანეთთან ბრძო
ლით. აქ, ამ ფარგალში, მოვლენა
მსვლელობა ფრიად ცვალებადია.
ხანაში ფეოდალები სძლევენ მეფეებ
და მაშინ იზრდილება ეროვნულ
იდეალი, მოქალაქობრივ ცხოვრება
ძალღვ სუსტდება, ხან მეფეები გ
მოდიან გამარჯვებულნი და ისევ ს
ცოცხლე ენიჭება ეროვნულ კულ

---

*) იხ. „სახ. გაზ." № 964

[1]) იხ. არჩილ ჯორჯაძე ტ. 1, გვ. 138,—კურსივი ჩემია.

[2]) გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად უნდა ვაღიაროთ, რომ მარქსს სათანადოთ არ გამოუკვლევია ეგრეთ წოდებული თეორია ეკონომიურ ცხოვრების განვითარებისა თავის საფეხურებით: ამ უკანასკნელ ხანში ამ მხრივ დიდი ნაბიჯია გადადგმული მეიერის, ბიუხერის, ზომბარტის და განსაკუთრებით პეტრე მასლოვის მიერ, რომელმაც მეტად საინტერესო თხზულება გამოაქვეყნა ამ საგნის შესახებ 1911 წელს.

[3]) არჩ. ჯორჯაძე ტ. 1, გვ. 189.

[4]) ibid.

[5]) არჩ. ჯორჯაძე ტ. I გვ. 104—105.

[6]) ჯორჯაძე ტ. 1.—გვ. 30.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წლის განმავლობაში ჭლექისაგან სიკვდილის რიცხვი ერთი-ორად შემცირდა. ჩვენში კი, საქართველოში, არა თუ არავითარი ბრძოლა არ სწარმოებს ამ სენის წინააღმდეგ, არამედ რაღაც ჩვენგან გაუგებ მიზეზების გამო ამ საგანზე ლაპარაკიც კი არ დაუწყიათ *) მე კი ვფიქრობდი და დღესაც ვფიქრობ, რომ, მიუხედავად ჩვენი სიღარიბისა, ამ მხრით რისამე გაკეთება მაინც შეგვიძლიან, მაგალითად სახალხო სანატორიუმის დაარსება. მე კარგა ხანია დამებადა აზრი ჭლექით ავადმყოფთათვის უფასო ან მეტად იაფ ფასიანი სანატორიუმის დაარსების შესახებ ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთ ჯანმთელ კუთხეში. ამ საქმის მთელი სიძნელე იმაში მდგომარეობს, რომ ძნელი იყო ისეთი ექიმის პოვნა, რომელსაც შესძლებოდა ამ საქმის თავდა-პირველი მოგვარება ეკისრა და შემდეგ მას გასძღოლოდა. ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც ამ გაზაფხულზე მოსკოვში შევხვდი ექიმს შამშე ლეჟავას, რომელმაც დაუყოვნებლივ გაიზიარა ჩემი აზრი და იქვე აღმითქვა, რომ საქართველოში დაბრუნებისთანავე შეუდგებოდა სახალხო სანატორიუმის დაარსების საქმეს. მ. გ. ნინიძის მონაწილეობით ჩვენ შევიმუშავეთ მომავალი ქართული საზოგადოების „სანატორიუმი შაორის“ წესდება და გადავეცით ბ. ლეჟავას.

15 ივლისს, როგორც „სახალხო გაზეთი“ გადმოგვცემს (იხ. № 950) ონში უკვე შემდგარა მომავალ საზოგადოების საორგანიზაციო კრება, რომელსაც ხსენებული წესდება ერთხმად მიუღია და თან აურჩევია საგანგებო კომისია, რომელსაც მის დამტკიცებაზე უნდა იზრუნოს.

ამგვარად საძირკველი ეყრება საზოგადოებას, რომელიც მიზნად ისახავს ფილტვებით ავადმყოფთათვის უფასო ან მეტად ხელისაწვდომ სანატორიუმის დაარსებას. მომავალ სანატორიუმისათვის არჩეულია შაორის ჭალა (რაჭაში), რომელიც თავის ჰავით და ბუნებით მეტის მეტად შესაფერია.

მაგრამ სანატორიუმის ასაგებად და საარსებოდ საჭიროა ფართო ნივთიერი და ზნეობრივი დახმარება. ამიტომ მე მივმართავ ქართველ საზოგადოებას თხოვნით—დაეხმაროს ამ ახალ საზოგადოებას როგორც კი შეუძლიან და მით ხელი შეუწყოს იმ მეტად სიმპატიურ მიზნის განხორციელებას, რომელსაც ეს საზოგადოება ისახავს.

პრივატ-დოცენტი მოსკოვის უნივერსიტეტისა **გაბრიელ ლამბარაშვილი.**

მუშათა ცხოვრება

ბაქო.

◆ დაიწყეს მუშაობა 20 სამრეწველოს 1598 მუშამ. გაიფიცნენ 314 მუშა (დ. პ. ს.)

◆ ჯივანშიროვის თუჯისა და სპილენძის ქარხანაში გაიფიცა 25 მუშა და მოთხოვნილება წარუდგინა.

◆ გაიფიცნენ ოვანესოვის და ამხ. მექანიკურ სახელოსნოს 65 მუშა და „ძმ. ნობელების“ სამრეწველოს 300 მუშა.

◆ ბალახანა-საბუნჩის საპოლიცმეისტეროში გაიფიცნენ: კოლესნიკოვის და შვილ. და ნურიჯანოვების სამრეწველოთა მუშები. ქვაბების სამჭედლოებში ტერ-იოანესიანისა, ტერ-გრიგორიანცისა და ამხ. „არამაზდის“ სახელოსნოს მუშები.

◆ ა. ბენკენდორფი და ამხ. მექანიკურ სახელოსნოს მუშებმა თავი დაანებეს მუშაობას თუმცა არავითარი მოთხოვნილება არ წარუდგენიათ.

◆ მოთხოვნილებათა ნაწილი დაუკმაყოფილეს და დაიწყეს მუშაობა „აფშერონის ნავთის საზოგადოების“ სამრეწველოში“, „რუს. ამხ. ნავთის“ სამრეწველოში 230 კაცმა, „ნ. მინას ვართაპეტოვის და ამხ.“ ჰის მთხრელ საიჯარადროს მუშებმა, ამხ. „შმაკი“-სა, შამსი ასადულაევისა და მიტროფანოვის სამრეწველოთა მუშებმა.

◆ „ნავთი“-ს ამხ. სამრეწველოში მუშაობა დაიწყო 285 კაცმა—სომხებმა, თათარმა და ლეკმა, ხოლო 30 მუშა რუსი განაგრძობს გაფიცვას.

◆ „შირვანისა“ და „სიუნიკის“ სამრეწველოთა მუშები გაუფიცველად შეუთანხმდნენ საწრეწველოთა ადმინისტრაციებს. მუშაობა განუწყვეტელია.

◆ ბალახანა-საბუნჩის პოლიცმეისტერი მოახსენებს ქალაქის უფროსს, რომ „ძმ. მირზოევისა და ამხ.“, „კასპიისა და შავი ზღვის საზ.“, ამხანაგ. „ნავთი“-ს, „კასპიის ამხ.“, ელექტრონის ძალის სადგურებზე განათებისათვის და სამოძრაო ძალისათვის, წყალსადენებში, წმინდა და ზღვის წყალის მისაწოდებლად, ნავთსადენებში და სამრეწველოთა სადარაჯოდ მუშაობა აღდგენილიაო.

რუსეთში.

◆ 4 აგვისტოს გრაფის მეუღლის პანინის სახალხო სახლში გაიმართა კრება ტყავის სამრეწველოებში მომუშავეთა საპროფესიო კავშირისა. კრებას 200 კაცი დაესწრო თუმცა კავშირს 700 წევრი ჰყავს. პოლიციის წარმომადგენელმა ქალაქის უფროსის განკარგულების თანახმად კრებაზე 200 კაცზე მეტი არ შეუშვა. კრებამ მოისმინა მოხსენებანი გამგეობისა და სარევიზიო კომისიისა.

◆ დამცველთა განყოფილების განკარგულებით გასჩხრიკეს ი. კონდრატენკოვი, რომელიც წევრია „სინათლის და ცოდნის წყაროს“ საზოგადოებისა.

◆ გერმანიის სოც.-დემ. ცენტრალურ კომიტეტს გაეგზავნა დეპეშები ავგუსტ ბებელის გარდაცვალებ-ს გამო ქ. კრემენჩუგის 25 მარქსისტისაგან, ქ. ირკუტსკში გადასახლებულთაგან და ნობელის ქარხნის მუშებისაგან. ამ დეპეშების გაგზავნა მინდობილი ჰქონდა სათათბიროს წევრს ბადაევს.

ხელის მომწერთა საყურადღებოდ
რომელთაც პირველი პრემია „უცხოეთის მწერლები“ ერგებათ და ჯერ არ წაუღიათ, ვსთხოვთ, ან წაიღონ რედაქციიდან ან გამოგზავნონ საფოსტო ხარჯი 50 კ. (შეიძლება მარკებით), რომ ადგილობრივ გაეგზავნოთ.
„სახალხო გაზეთის“ კანტორა.

◆ ავტომობილების ქარხნის „პობედას“ მუშებმა მოითხოვეს ქირის 20 პროც. გადიდება მოთხოვნილება არ დაუკმაყოფილეს და ამის გამო მუშები გაიფიცნენ.

◆ კულიმანოვის შპალიერთა სახელოსნოს მუშებმა მოითხოვეს ქირის მომატება, ზედ-მეტ მუშაობის მოსპობა, სამუშავო დღის შემოკლება დ. ს. სახელოსნოს პატრონმა მოთხოვნილება არ დააკმაყოფილა და მუშები გაიფიცნენ.

◆ ბრინჯაოს საწარმოო სახელოსნოების პატრონებმა, რომელთაც სახელოსნოები გაფიცვის გამო დაკეტილი აქვთ, კრება გამართეს. კრებაზე გამოარკვიეს, რომ მათი მოქმედება ერთსულოვანი არ არის და საჭიროა ორგანიზაციის მოწყობა გაფიცვასთან საბრძოლველად. თუმცა ბევრი მათგანი ჰგრძნობდა, რომ მუშებს ვერ აჯობებენ და გაფიცვას მოთხოვნილების დაკმაყოფილებამდე ვერ მოსპობენ, მაგრამ მაინც ჯიუტობის გამო გადასწყვიტეს გაფიცვასთან საბრძოლველად ერთნაირი გეგმით მოქმედება. მუშებს გამოეცხადებათ, რომ თუ მუშაობას არ შეუდგებიან მათ მაგიერ მოიწვევენ მუშებს სხვა და სხვა ქალაქებიდან და მათ კი შეიტანენ „შავ სიაში“ და ამრიგად დაჰკარგავენ შეძლებას პეტერბურგში სამუშავარი იშოვნონ ოდესმე. აგრედვე გადაწყვეტილია მუშათა მოთხოვნილების ნაწილის დაკმაყოფილება. სულ გაფიცულია 250 მუშა.

◆ ნავთსადგურის მუშების გაფიცვის გამო გემთა პატრონებს და გემთ დამტვირთველებს დაუდგენიათ დაიბარონ მუშები შიდა რუსეთიდან.

◆ ძაფის მრთველ ქარხნების მუშებმა დაიწყეს მუშაობა ძველ პირობებში.

უცხოეთი

ირლანდიის ავტონომია და ინგლისის მეფე.

თანდათან ახლოვდება ის დრო, როდესაც, მიუხედავად ლორდების პალატის უარყოფისა, ირლანდიის ჰომრული კანონად გახდება. ინგლისის კონსერვატიულ წრეებში ეს გარემოება პროექტების ძთელ რიგს იწვევს, ზოგიერთი ამათგანი კონსერვატორების პროექტებსაც კი იწვევს. მაგალითად ამ დღეებში კონსერვატიულ ორგანოში ვინმე არნოლდ უაიტმა მოათავსა წერილი და ის აზრი გაატარა, რომ ჰომრულის მოწინააღმდეგენი ეხლა უნდა შეეცადნენ და მეფეს წარუდგინონ პეტიცია, რათა მხარი არ დაუჭიროს ჰომრულს. უაიტის წერილმა მკაცრი პასუხი გამოიწვია არამც თუ ლიბერალურს, არამედ კონსერვატიულ წრეებშიაც კი. ამ შემთხვევაში, რასაკვირველია, უკანასკნელების აზრი უფრო საინტერესოა. კონსერვატიული ორგანო „სპექტატორი“ სწერს:

„უბედურ მოძრაობის ინიციატორებმა, რომლის მიზანია მეფეზე ძალდატანებითი გავლენა მოახდინოს და აიძულოს მეფეს ჰომრულის დაუმტკიცებლობით რევოლიუციონური აქტი მოახდინოს,—ბოლოს და ბოლოს გულახდილად გამოსთქვეს თავისი სურვილი. ეს ბილი რომ ცუდია, ამაში ეჭვი არ არის. მხოლოდ ის საფუძველი, რომელზედაც ჰომრულის მოწინააღმდეგენი ემყარებიან, სრულიად ყალბია და გამოუსადეგარი. ეს შეცდომა უნდა გამოვააშკარავოდ, რადგან აღელვებისა და სასოწარკვეთილების დროს ხანდახან ისეთი შეცდომები ხდება ხოლმე, რომელიც სრულიად არა აქვთ გათვალისწინებული და არც ინდომებენ გონიერი ადამიანები. როგორია შინაარსი მეფესთან წარსადგენ პეტიციისა? უპირველეს ყოვლისა იქ ისეთი აზრია გატარებული, რომ veto-ს უფლება აქამდის მეფეს ეკუთვნის, რომ ბილის შესახებ მეფის თანხმობა არამც თუ წმინდა ფორმალური აქტი, არამედ აქტი პერსონალური. ამიტომ, როდესაც მეფე ჰომრულისტურს ბილს აწერს ხელს—თითქოს პასუხისმგებლობას თითონვე კისრულობს. კონსტიტუციის ამაზე უფრო შემცდარ და საშიშ გაგებას, აგრედვე თვით სუვერენისათვის სახიფათოს, ვერც კი წარმოიდგენს კაცი. როდესაც მეფე პარლამენტის რაიმე დადგენილებაზე თავის თანხმობას აცხადებს, მას არაფერი პასუხისმგებლობა არ ევალება. თავის თანხმობის გამოცხადების დროს იგი ავტომატიურად მოქმედებს და არა პერსონალურად. არც ბილის შინაარსისა და არც იმ პირობებისათვის, რომელშიაც ბილი იყო მიღებული, მეფე პასუხს არ აგებს. ბილის შინაარსისათვის პასუხს მინისტრები აგებენ, რომელთაც, კონსტიტუციის თეორიის მიხედვით, მეფეს რჩევა მისცეს, ხელი მოაწეროს. **მეფეების აქტი ამ შემთხვევაში--მინისტრების აქტია**“.

გაზეთი იხსენიებს, რომ ვიქტორიას მეფობის დროს, მან ასობით დაამტკიცა ისეთი ბილები, რომელთაც სრულად არ ეთანხმებოდა და, შემდეგ განაგრძობს. „ადვილი წარმოსადგენია, რა დაემართება კონსტიტუციას, თუ კი ვიფიქრებთ, რომ მეფე კანონმდებლობაში პასუხისმგებელია. მონარქიის ნამდვილმა მეგობრებმა, მიუხედავად ძლიერის განცდისა, უარი უნდა სთქვან ჰომრულის ისტორიაში მეფის სახელის ჩარევაზე. არავითარმა სოფიზმებმა, არავითარმა საკონსტიტუციო თეორიებმა, არავითარმა დიალექტიურმა ხრიკებმა არ უნდა დაჭფარონ ჭეშმარიტება, რომ მეფის აქტი—მინისტრების აქტია, რომ მეფე პასუხისმგებელი არ არის. კონსტიტუციას ძალა მხოლოდ იქამდის აქვს, სანამ ეს პრინციპი მოქმედებს; წინააღმდეგ შემთხვევაში მას დანგრევა ელის. მეფეს არ შეუძლიაან ნახევრად პოლიტიკურ ბრძოლის ფარგლებში იყოს და ნახევრად კი—მათ გარეშე. სწორედ ამიტომ იგი ვერ იმოქმედებს პოლიტიკურად; ყოველი მისი აქტი მინისტრის მიერ აღნიშნული უნდა იყოს, რომელიც მეფეს ჩამოხსნის პასუხისმგებლობას და თავის თავზე გადაიტანს“.

რუსეთი

ერობების შუამდგომლობა.

უკანასკნელ საგანგებო საგუბერნიო და სამაზრო ერობების კრებებზე დიდი ყურადღება ჰქონდა მიქცეული ხულიგნების საკითხსა და ხულიგანებთან საბრძოლველ ზომებს; ბევრმა ერობამ ეხლა სამინისტროს წინაშე შუამდგომლობა აღძრა, რომ სოფლის მცხოვრებთა შორის სწავლა-განათლებას ხელი შეუწყოს, რადგან ეს საუკეთესო ზომაა ხულიგნობასთან საბრძოლველად. თავის შუამდგომლობაში ერობები აღნიშნავენ სკოლების გასახსნელად შემუშავებულ გეგმას; მაგრამ ეს საკმარისად არ მიაჩნიათ, და ამიტომ სამინისტროს სთხოვენ, დაუყოვნებლივ განახორციელოს უკვე შემუშავებული გეგმა პირველ დაწყებით სკოლებისა და საღამოს კურსების გახსნისა. სხვათა შორის, ზოგიერთმა ის აზრი გამოსთქვა, რომ საჭიროა რაც შეიძლება ფართოდ იქნას შემოღებული განსაკუთრებულ მოძრავ სახალხო კიოსკების ორგანიზაცია, რაც ძლიერ სასარგებლოა აღნიშნულ მიზნისათვის.

როგორც ამბობენ, სახალხო განათლების სამინისტრო ამ ჟამად ოლქის მზრუნველების შემწეობით სახალხო სკოლების დირექტორებს დაეკითხა: როგორ მუშაობს სახალხო სკოლები და შესაძლოა თუ არა გაიხსნას ახალი სკოლები იმ თანხის შემწეობით, რომელიც გადადებულია სახალხო სკოლების აშენება-შენახვისათვის.

სხვა და სხვა ამბავი

სემინარიელები და სასულიერო მოღვაწეობა.

„კიევსკაია მისლი“ ამბობს, რომ სემინარიელები ძლიერ გაურბიან სასულიერო მოღვაწეობასაო. ყველანი უნივერსიტეტისაკენ ეტანებიან. შარშან უნივერსიტეტში 8 სემინარიელი შევიდა. წელს კი მარტო ვარშავის უნივერსიტეტში 15-მდე თხოვნაა შეტანილი სემინარიელებისაგანაო.

ლოთობა მოწაფეთა შორის.

სარატოვის საერობო გამგეობამ ანკეტა მოახდინა საერობო სკოლებში ლოთობის შესახებ. ფურცლები გაგზავნილი იყო 15 სკოლაში, რაც საერობო სკოლების 7 პროც. შეადგენს. გამოჰკითხეს 1350 ვაჟს და 600 გოგოს, საერობო სკოლების მოწაფეებს. ეს შეადგენს 15 პროცენტს სამაზრო სკოლებში მოსწავლეებისას. ამ რიცხვიდან 79 პროც. ვაჟი და 48 პროცენტი გოგო სვამს არაყს და ღვინოს. საინტერესოა წლოვანობა, როდესაც პირველად არაყის გემო გაუსინჯიათ. 5 წლისას არაყის გემო გაუსინჯავს 2,89 პროც. ექვსი წლისას 4.63 პროცენტს, შვიდი წლისას 18,37 პროც. რვა წლისას 24 პროცენტს, ცხრა წლისას—19 პროც. ათი წლისას 15 პროცენ. ასეთივე რიცხვით აღინიშნება გოგოთა შორის ალკოგოლიზმის გავრცელება. 502 მოწაფემ უპასუხა, რომ პირველად არაყი და ღვინო დალიეს ქორწილში, 117 მოწაფეს ხელმწიფის უქმეებზე უგემნია ალკოგოლი. 117—საერთოდ უქმეებზე. შემდეგ მიზეზები ასე მოჰყვება რიგად: სტუმრად ყოფნის დროს, ნათლობაში, ცხენის ყიდვის გამო დ. ს. 165 ვაჟს და 44 გოგოს თავის თავად დაულევნიათ. 442 ვაჟისათვის და 109 გოგოსათვის მშობლებს მიუწოდებიათ, 371 ვაჟისათვის და 109 გოგოსათვის ნათესავებს მიუწოდებიათ, 90 ვაჟისათვის და 32 გოგოსათვის ამხანაგებს დაულევინებიათ. დათრობამდის დაულევია 296 ვაჟს და 35 გოგოს, ახლა სვამენ და თვრებიან 55 ვაჟი და 5 გოგო.

პროფესორ ერლიხის საიდუმლო.

„606“ გამომგონმა, პროფესორმა ერლიჰმა საიდუმლო ამ წამლის მოქმედებისა გამოაქვეყნა. როგორც ცნობილია ავადმყოფობის უმრავლესობა შედეგია ადამიანის სხეულში სხვა და სხვა მიკრობების (უჩინარქიების) გამრავლებისა. ათაშანგიც სწორედ ასეთ ავადმყოფობას ეკუთვნის. ერლიჰის სალვარსანი ანუ „606“ ისეთი თვისებისა ყოფილა, რომ ათაშანგის სპიროხეტები ანუ მიკრობებს იტყუებს და ამრიგად სპიროხეტები სჭამენ მას. „606“-კი სპიროხეტებისათვის საწამლავია და სპობს მათ. ქინა-ქინაც ამ რიგად სპობს ციების მიკრობებს—ღემატოებს. როდესაც გამოიგონებენ ისეთ

---

*) დაიწერა მხოლოდ რამდენიმე წერილი „სახალხო გაზეთსა“ და ერთიც „ბათომის გაზეთ“-ში (მ. ნ. „სასარგებლოსაქმე“).

ტურას“[7]. სხვა და სხვა მიზეზების გამო საქმე ისე მოეწყო, რომ ერთმეფობის საბოლოოდ გამარჯვება ჩვენს ცხოვრებაში შეუძლებელი გახდა; ფეოდალების დათრგუნვა გაძნელდა და მთელი საქართველოს მოქალაქობრივი ცხოვრება ამიტომ ძლიერ დაეცა. „მეთხუთმეტე საუკუნიდან კი—ამბობს, ჯორჯაძე—მე-XVII—XVIII საუკუნემდე თითქმის წყდება ქართულ ეროვნულ კულტურის ძაფის ცემა. ამ ხანაში (აგრედვე—თ. ღ.) გარეშე მტრები ისეთის სიმძიმით დააწვნენ საქართველოს, რომ იქ თითქმის სიცოცხლის ნატამალიც კი გამქრალაო. პოლიტიკური სხეული დაძაბუნდა, თავისუფლების აზრი დაითრგუნა, საზოგადოება ზნეობრივად დაეცა. წაიკითხეთ შარდენის „მოგზაურობა სპარსეთში“ (საქართველო მაშინ სპარსეთსა და ოსმალეთს ეკუთვნოდა) და იქ დაინახავთ, რომ იმ ხანაში ქართულ საზოგადოებას აშკარად ეტყობოდა ნიშნები გაველურებისა.“[8]

მართლადაც, ამ წმინდა ბატონყმობის ხანაში, ქართველი ხალხი, განსაკუთრებით მწარმოებელი საზოგადოება მეტის მეტად გაჭირვებულ ყოფაში იმყოფებოდა, მას ავიწროებდა და ანადგურებდა შინაური მტრები. ფეოდალები, თავის ძღვირ წახნილი ომის სურვილებით და ამავე დროს მტერნი გარეშენი, რომელნიც ფეოდალის ინსტიქტებს თრგუნავდა, ქინს ფეოდალის ჯარზე ხალხზედ იყრიდა, რომელსაც არბევდნენ, აწიოკებდნენ და ხოცავდნენ. ნამდვილად ეს ხანა საშინელ ხანად ჩამთვლება ქართველ ერის ისტორიაში, რომელსაც ვერც ერთი ხანა ვერ შეედარება ხალხის დამონავებითა დ დაჩაგვრით. ამას არჩილ ჯორჯაძე აშკარად ანვითარებს თავის თხზულებაში, როდესაც გადაჭრით ამბობს: ფეოდალური, ბატონ-ყმური წესწყობილება დაბალი ხალხის „კეთილდღეობაზე კი არ იყო აშენებული, არამედ (ხალხის) დამონავებაზედ და დაჩაგვრაზედ[9]) ხოლო დამონავებული ყოველთვის ხდება ბრმა აღმასრულებელი ბატონების სურვილებისა და მართლაც რომ აგეთ ბრმა მონებად იყვნენ იმ დროს ჩვენი გლეხ-კაცები. გლეხი — ქვეყანაზედ თავისუფლად გაჩენილი — თანახმად ფრანგ რევოლიუციონერების შესანიშნავ დეკლარაციისა — სრულიად უბრალოდ, უმიზეზოდ უვარდება ბატონს კლანჭებში, რასაც დალაგებით მოგვითხრობს არჩილ ჯორჯაძე „საყურადღებოა — ამბობს ჯარჯაძე, რომ ყმად ხდებოდა: აყვანილი შვილობილი, უკანონო შვილი, შეუძლებელი მოვალე, შეუძლებელი ქურდი, აგრეთვე გლეხი, რომელმაც შეირთო ბატონის გოგო, ვინც შიმშილობით გამოჰკვება გლეხი ცოლშვილით, ვინც გამოიყიდა გლეხი ტყვეობიდან, ვინც გადაუწყვიტავალი გლეხს[10]). აქ არ აქვს ჯორჯაძეს ჩამოთვლილი ის სხვა გარემოებანი, რომლის მიხედვით ხალხი ყმად ხდებოდა, მაგრამ აღნუსხული პირობები იმ მხრით არის დამახასიათებელი, რომ ყმად ხდებოდნენ ხალხი **შთამომავლობის** მიუხედავად, ხოლო შემთხვევითი გარამოება შთამომავლობის და მოდგმის გარეშეც საკმაო იყო ყმად გახდომისა.

ამ ყოველის მხრით უთავბოლოო ხანაში ნივთიერი საძირკველი ყმების ძალა იყო. ყმები იყო ბატონის, ეკლესიის და სახელმწიფოს მასალდგმულებელი, ის იყო აუარებელ გარდასახადების წყარო. თუ კონკრეტიულად რაში იხატებოდა გლეხყმათა მოვალეობანი, ამის შესახებ ჯორჯაძე სწერს: „გლეხი ორნაირად ემსახურებოდა ბატონს: იგი უწევდა ქონებრივსა და პიროვნულ სამსახურს. პირველი დამყარებული იყო მამულის მფლობელობისა და იმის შემუშავებულ დამოკიდებულებაზე, მეორე დაიბადა ყმის პირად ხელქვეითობიდან ბატონისადმი. **მიწის მფლობელობის** უფლებამ დაადო ყმას შემდეგი გადასახადი: ღალა, კულუხი, ნახირის თავი, საბალახე, პირისთავი, კონისთავი, ფუთკრისთავი. **ხოლო პიროვნული** სამსახურის ძალით გლეხს სხვა მოვალეობა აწვებოდა კისერზე: ბეგარა-ბატონისათვის მუშაობა, ძღვენი, საჩექმე, გასამყრელო, სამარხი, მსახურება. ყველა ამას გარდა **სახელმწიფო ბეგარაც** უნდა გადაეხადა გლეხს: ათასგვარი ბაჟი-მარილზე, ფარჩაზე, თევზე, ენდროზე, ქონზე, მატყლზე, ბაჟი მამულის გასყიდვისა; გადასახადი—სანაცვლო-სამოსახლო, ლაშქარ-ნადირობა, სათავადო, საზნაურო, საერისთავო, სასპასალარო, საეჯიბო და სხვა და სხვა. ბროსსეს აქვს მოთვლილი 120 გარდასახადის სახელი“[11]).

ფეოდალებს გარდა ყმა-გლეხები ჰყავნდა სახელმწიფოს, ეკლესია-მონასტერს. „საქართველოში საეკლესიო, საბატონო და სახასო ყმები იყვნენ—გვიხსნის ჯორჯაძე—გლეხს ერჩივნა ეკლესიის და მეფის ყმობა. საეკლესიო გლეხს შეეძლო კათალიკოსის თანხმობით გაეყიდა თავისი მამული, შეეძლო თავისუფლად წასულიყო სავაჭროდ, შეეძინა თავისი საკუთარი მამული. სახასო გლეხიც უკეთეს მდგომარეობაში არ იყო. საბატონო ყმა ორ ბატონს—მეფეს და ბატონ-პატრონს ერთად ემსახურებოდა, ამიტომ საბატონო ყმა ხშირად სცდილობდა თავი დაეხწია ბატონისათვის და საეკლესიო და სახასო ყმად გამხდარიყო [12]) მაგრამ საერთოდ მდგომარეობა ყველა ჯურის ყმა-გლეხისათვის ერთი და იგივე იყო. „რაკი გლეხი ისე დაჩაგრული იყო—ხსნის ჯორჯაძე ეკონომიურად—და მთელ თავის ღონეს სხვის სარჩენად ანდომებდა, რასაკვირველია, მას იურიდიული უფლებებიც შეკვეცილი ჰქონდა და მისი პოლიტიკური ძალაც შეხუთული. ასეც უნდა ყოფილიყო, რადგან **ეკონომიური სილარიბე და სიმდიდრე იურიდიულ და პოლიტიკურ შევიწროების, ანუ ფრთეზ შესხმულობის მაჩვენებელიაო.** [13]) გლეხების წინააღმდეგ, მდიდარ-ფეოდალებს უფლებაც ჰქონდათ და გავლენაც. მართალია თავადაზნაურობის პოლიტიკური ძალა იურიდიულად დამტკიცებული არ იყო, მაგრამ ფაქტიურად კი „ჩვენი მთავრები, ერისთავები და თავადები ხშირად ეურჩებოდნენ მეფეებს და მით იჩენდნენ თავიანთ პოლიტიკურ ძლიერებას“ [14]).

ფეოდალურ წეს-წყობილების ამგვარად ახსნას არჩილ ჯორჯაძე **მეცნიერულს** უწოდებს და მართლაც ამ შემთხვევაში ის ნამდვილი მეცნიერია, ის ქედუხრელი სოციალისტია, რომელიც თავის შეხედულებას მტკიცედ აღგია. ჯორჯაძეზე მუდამ დიდ გავლენას ახდენდა ჩვენი მწერლობის ბუმბერაზი—ილია ჭავჭავაძე, მაგრამ თავისი სულის და შეხედულების სისპეტაკეს ჯორჯაძე ვერავის აცვალებდა. ამიტომ ადვილი ასახსნელია, რომ ფეოდალურსა და წოდებრიობის დასურათებაში ჯორჯაძე ძირითადად ეწინააღმდეგება ილია ჭავჭავაძეს და თამამად ააშკარავებს ჭავჭავაძის შეცდომებს. ილია ამბობდა: „დიდი შეცდომა იქნება წოდებათა შორის განხეთქილების მიზეზი თვითონ **წოდებათა წყობათა წყობას, მის შინაგან არსებას,** თვისებას, ზნესა, ჩვეულებას და აქედან წარმომდგარ მიდრეკილებას მივაწეროთ. ამის მიზეზი—ხსნის ილია იგივეა, რაც თვითეულ კაცთა შორის: „ავი გული, ხარბი თვალი, გძელი ხელი და ნამუსის ქუდის ახდა“-ო, მაგრამ სოციალისტი ჯორჯაძე ამით დიდად უკმაყოფილოა, ის ჭავჭავაძის ამგვარ განმარტებას ჯიუტობად ნათლავს და თავის მხრივ ხსნის: „ჭავჭავაძეს უნდა გაეგო, რომ საქმე სწორედ ჩვენს „წოდებათა წყობაში“ იყო და მის შინაგან არსებაშიო“ [15]).

ჩვენ აქ არ გამოუდგებით იმის გამორკვევას თუ რა მოსაზრების ძალით იყო ჯორჯაძის ახსნა მეცნიერული, ხოლო ჭავჭავაძისა კი—მცდარი. აქ სრულიად საკმაოა აღინუსხოს, რომ დაბალი წოდება ერთად-ერთი მწარმოებელი-მშრომელი კლასია, ხოლო მშრომელსა და შრომის ნაყოფის მიმთვისებელთა ინტერესების შეურიგებლობა ჯერ კარლ მარქსმა დაამტკიცა „კაპიტალში“ და აქედან ნათელი იყო ჯორჯაძისათვის, რომ წოდებრივსა თუ კლასობრივ განხეთქილებაში არავითარი ალაგი არ ჰქონდა არც ხარბ გულს, გრძელ ხელს და არც ნამუსის ქუდის ახდას. წინააღმდეგ, ჯორჯაძე სრულიად თანახმად მარქს—ეკონომისტთან კიდევ უფრო აღრმავებს და ნათელ ყოფს წოდებრივობას და წოდებათა საზოგადოებრიობას და ამიტომ მკაფიოდ აღიარებს: „თავად-აზნაურობის ეკონომიურ მდგომარეობის გაუმჯობესობა და გამაგრება ეწინააღმდეგება უმრავლესობის, ჩვენი მწარმოებლის ინტერესებს. რადგან მწარმოებელსა და მემამულეს შორის ძირითადი განხეთქილებაა, ამისათვის ერთი რომელიმე კლასის გამაგრება მეორე მოპირდაპირე კლასის დასუსტება იქნება. ხოლო ჩვენ უნდა მივიღოთ მხედველობაში უმრავლესობის ინტერესი“.[16])

აი ამ ნიადაგზე იდგა არჩილ ჯორჯაძე. მისთვის იდეალი იყო მწარმოებელთა, მუშათა ხალხის ინტერესების დაცვა, ეს ინტერესები მას მთელ ხალხის ინტერესად მიაჩნდა და ყველა მუშათა მოპირდაპირე ძალას, ის ყალბ ძალად, ხორც-მეტად აღიარებდა.

ვნახოთ სხვა მოვლენების დაფასებაში რა პოზიციაზე იდგა ჩვენი ავტორი.

თევდორე ღლონტი.

(შემდეგი იქნება)

---

[7] ibid, გვ. 105.
[8] იქვე.
[9] ჯორჯაძე, ტ. 2.—გვ. 118.
[10] ibid, გვ. 115.
[11] ჯორჯაძე, ტ. 2, გვ. 115—116.
[12] იქვე.
[13] იქვე, კურსივი ჩვენია.
[14] იქვე.
[15] ibid, გვ. 117.
[16] ტ II. გვ. 122—123.

წამალს, რომელიც ქლექის მიკრობებსაც „მიიტყუებს", მაშინ ქლექთან ბრძოლა ადვილი გახდება.

ბალკანეთის მდგომარეობა

(დეპეშ. პეტ. სააგენტოსაგან)

8 აგვისტო

ათინა. მინისტრთა საბჭომ განიხილა საკითხი საზღვრის დამიჯვნისა და ბულგარეთიდან გამოქცეულ ბერძნებისა და მაჰმადიანებს დასახლებისა. შესახებ იმ ადგილებისა, რომელნიც ფრაკიაში ბერძნებმა ბულგარელებს უნდა დაუთმონ და ჯარი უნდა გამოიყვანონ აღმოჩნდა, რომ ამ ადგილებში ბულგარელებს ეხლახან არ შეუძლიანთ შეიყვანონ ჯარი და მოხელენი. პრინციპიალურად გადაწყვეტილია ჯერ-ჯერობით არ გამოიყვანონ ჯარი სამხრეთიდან. რადგანაც ოსმალეთ-საბერძნეთის შორის თანხმობა ჩამოვარდა ბერძნების გემები თავისუფლად გაივლიან ოსმალეთის სრუტეებს. ოსმალეთი ანთავისუფლებს ბერძნების გემებს, რომელნიც დაჭერილი ჰყავდა ომის გამოცხადების დროიდან.

ბუქარესტი. საბერძნეთის ელჩმა რუსეთის ელჩის საშუალებით გადასცა სოფიაში, ბულგარეთის ჯარის მთავარ სადგომ მეფე კონსტანტინეს შემდეგი დეპეშა: „სახელოვანი ჯარი, რომელიც დედეაგაჩაში, მავრში, გიუმიულჯინში და კსანტში, ნევროკოპში, მელნიკში და სტრუმიცაში სდგას გადასცემს ქალაქს 8 აგვისტოს შემდეგაც ბულგარეთის მუდმივ ჯარს შესაფერისი ოქმების შედგენით".

ბელგრადი. მეფის მემკვიდრე ალექსანდრე მალულად მოვიდა ქალაქში, რადგანაც ომიდან დაბრუნებული ჯარი კვირას მოვა და მემკვიდრის სარდლობით უნდა შემოვიდეს ქალაქში.

დაიწყო ჯარის დათხოვნა. სახალხო მატარებელთა მიმოსვლა ამის გამო შეჩერებულია.

ბელგრადი. მეფემ უმაღლესი ბრძანებით დაამტკიცა ბუქარესტის ხელშეკრულება.

სტამბოლი. საბერძნეთის რწმუნებული, რომელიც სტამბოლში იყო დიპლომატიურ ურთიერთობის აღსადგენ მოლაპარაკებისათვის ათინას წავიდა. მოლაპარაკება ათინაში გაგრძელდება ოსმალეთის რწმუნებულების დასწრებით.

პარიზში მყოფი ოსმალეთის საფინანსო რწმუნებული ჯავით-ბეი, რომელსაც დავალებული აქვს დიდი სესხის შოვნა იტყობინება, რომ სესხის აღების საქმე წინ მიდისო. სესხის მიმცემნი უზრუნველყოფილებისათვის ითხოვდნენ, რომ მცირე აზიის ვილაიეტებიდან შემოსავლის რამდენიმე ნაწილი მათ სასარგებლოდ უნდა გადაიდვასო.

სოფია. დაბრუნდა თავის ნებით შემდგარი მაკედონია-ადრიანოპოლის რაზმი.

ლონდონი. ადრიანოპოლის მცხოვრებთა დეპუტაცია მიიღო, საგარეო საქმეთა სამინისტროში, სტატს-სეკრეტარის თანაშემწემ.

ბელგრადი. გაზ. „სამოუპრავა" სწერს სახელმწიფოთა სიტყვიერ განცხადების გამო: „სერბიისათვის ძნელი არ არის სისრულეში მოიყვანოს სახელმწიფოთა სურვილი, რადგანაც ჩვენი კონსტიტუცია უზრუნველ ჰყოფს ყველა ხალხისათვის სარწმუნოების, ბეჭდითი სიტყვის და პოლიტიკურ უფლებათა თავისუფლებას. ადმინისტრატიული წესწყობილების მხრივ, სერბია მთელს ევროპაში ერთი უთავისუფლესი სახელმწიფოთაგანია". დასასრულ გაზეთი სწერს: სიამოვნებით ვეგებებით სახელმწიფოთა რჩევას, ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ მომავალში არავინ არ ისარგებლებს ამითი, როგორც სახელმწიფოს შინაურ საქმეებში ჩასარევ მიზეზით, რადგანაც ეს იქნებოდა სახელმწიფო დამოუკიდებლობის წინაამდეგ განზრახვა, და ამის ნებას კი ჩვენ ვერავის ვერ მივცემთ.

სოფია. სერბიის თანხმობით სოფიასა და ბელგრადის შუა ივლის ორი მატარებელი. დაარსებულია კომისია რუმინიასთან საზღვრის აღსანიშნავად.

ჯარის მთავარი სადგომი გაუქმებულია.

მოწერილი ამბები

თელავი. მიწა-წყლის სიცოტავე კახეთში ახალი ამბავი არ არის. კახელი გლეხი დარბაისელ შრომის მოყვარეობის გარდა, მეტად სულგრძელი და მომთმენია. მიუხედავად მრავალ გაჭირვებისა, ხმა ამოუღებლივ ითმენს ცხოვრების სიდუხჭირეს, მიუხედავად შიმშილ-წყურვილისა, თავის დღეში ხელს არავის გაუწვდის სათხოვნელად, მიუხედავად მიწის სიმცირისა, ის დღე და ღამ ამაზე არ გაიძახის და თითქოს კმაყოფილიაო გამუდმებით მუშაობით, წლის სარჩო თავის დღეში ვერ შეაქვს ოჯახში. ყოველ წელს პურის ფასი 4—5 მანეთია კოდი, ე. ი. იმაზე მეტი, რაც სიმშილობის დროს რუსეთში და ნიადამ რუსეთიდან მოტანილ ფქვილს შეშველება უხდება.

რასაკვირველია ყველა ეს **მიწა-წყლის სიმცირის ბრალია.**

ამის და მიუხედავად ბევრსა ჰგონია, კახეთში თავისუფალი ადგილი ბევრია, თითქოს ეს აგურხანა იყოს, რომ რამდენიც უნდათ იმდენი ჩამოსხდნენ და ამისათვის ვისიმე დასახლებაც შესაძლებელიც იყოს.

ამ ბოლო დროს რამდენჯერმე შევხვდი რუსეთიდან მოსულთ (ходоки), რომლებიც შემომეკითხნენ „Ради Христа, укажите переселенческое управленіе". რასაკვირველია ასეთი დაწესებულება თელავში არ მოიპოვება და მეც ასე რომ მიპასუხნია, არ დაუჯერებიათ, მაშ როგორ იქნება? ჩვენ მიწა გვინდაო.

რასაკვირველია როცა მიწა არ არის, როგორ იპოვიან, მაგრამ საინტერესოა ვინა და რათ ჰგზავნიან ამ საწყალ მოსიარულეთ თელავის მაზრაში, როცა, როგორცა ვთქვი, თავისუფალი ადგილი არ მოიპოვება?!.

სიტყვამ მოიტანა და უნდა აღვნიშნო, რომ ამ ბოლო წლებში მაინც ორი სოფელი აშენდა თელავის მაზრაში, ერთი გაღმა მხერეს—ნაფარეულის საუფლისწულო მამულის მიწაზე „მარკოვკა" და მეორე გამოღმა მხარეს ს. ახატელთან—„მათვეევკა" ახატელელ მემამულე მგალობლიშვილის სიძემ ბ. მათვეევმა თავისი მამული მისცა იჯარით 20 თუ 30 კომ. რუსს, რომელნიც წინედ ქვემო მხარეს დასახლებულიყვნენ, მაგრამ იქ ადგილი მწირი და ციებ-ცხელებიანი გამომდგარიყო და მისთვის აყრილან, მაგრამ აქაც, სადაც ეხლა დასახლდნენ, ადგილი ციებ-ცხელებიანია.

დავიწყებული.

დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტოსაგან).

8 აგვისტო.

უცხოეთი.

ჰააგა. გაიხსნა მეოცე სამშვიდობო კონგრესი. დაესწრნენ 950 კაცი. პრეზიდენტმა დელუტერმა სიტყვაში გამოსთქვა, რომ წინაამდეგი ვარ ამერიკისაგან ზეეროვნული ორგანიზაციის მოწყობისაო. გემანმა, ბერგეზიუსმა და ლაფონტენმა პროტესტი განაცხადეს ბალკანეთზე მომხდარ ამბების გამო.

ჰააგა. სამშვიდობო კონგრესმა მიიღო შემდეგი დადგენილებანი: კონგრესი მოითხოვს, რომ შეიარაღებულ ძალთა შემცირების საკითხი შეტანილ იქნეს მესამე კონფერენციის რიგში; კონგრესი პროტესტს უცხადებს იმ პირთა დამღუპველ გავლენას, რომელნიც დაინტერესებულნი არიან შესაიარაღებელ მასალის მრეწველობით; კონგრესი ურჩევს მშვიდობის მოყვარე საზოგადოებას განიხილონ პროექტი შეიარაღებულ ძალთა თანდათანობით შემცირებისა, რომ შემდეგში კონგრესი საქმის ცოდნით შეუდგეს ამ საკითხის განხილვას.

ჰეტინგენი. ოქსფორდში მიმავალი 78 წლის მოხუცი პროფესორი ფონბარი გზაში გარდაიცვალა. ფონბარი წევრი იყო საერთაშორისო სამედიატორო სასამართლოსი.

ჩესტერფილდი. საზოგადოებათა პალატის გარდაცვლილ წევრის, მუშათა პარტიის წარმომადგენელის, ხესლემის ნაცვლად დეპუტატად არჩეულ იქნა ლიბერალებისა და მუშათა პარტიის ხმის უმეტესობით, უნიონისტებისა და სოციალ-დემოკრატების წინაამდეგ კენიანტი.

ჰააგა. საერთაშორისო სამედიატორო სასამართლოს დადგენილებათა სავალდებულოდ სისრულეში მოყვანის საკითხის განხილვის დროს, სამშვიდობო კონგრესმა უარჰყო ჰოლანდიელ პროფესორის ფანფოლენგოფენის წინადადება—საერთაშორისო პოლიციის დაარსება.

ლონდონი. ჩესვიკში ლონდონის დასავლეთ ნაწილში დაიწვა თეატრი ამპირი. ზარალი 120 ათასი გირვანქაა.

შანხაი. ნანკინის აღების შესახებ ხმები არ გამართლდნენ. მეამბოხეებმა მოიგერიეს იერიში და უკეთ გამაგრდნენ. ქალაქში ძარცვა-რბევაა. იტყობინებიან, ღენერალმა ჩანსუნმა სრულებით არ იცის თანამედროვე ომის პირობებიო.

გენტი. საერთაშორისო გამოფენაზე დაიწვა ესპანიის პავილიონი.

ვაშინგტონი. სენატის წევრმა პრენოზმა შეიტანა დადგენილების პროექტი, რომელიც შეიცავს პრეზიდენტისადმი თხოვნას, რომ მექსიკაში უცხოელთა დასაცავად გაიგზავნოს ჯარი. კამათის დროს გამოირკვა, რომ ორივე მიმართულების სენატის წევრები მზად არიან მოიწონონ ვილსონის პოლიტიკა.

რუსეთი

პეტერბურგი. ბეჭვდითი სიტყვის კომიტეტმა დაიჭირა „სევერნაია პრავდა" № 6 და „ახალი მუშათა გაზეთი" № 1.

პეტერბურგი. პეტერბურგის უნივერსიტეტის ორდინარ-პროფესორი დოქტორი რომის უფლებისა გრიმი გადაყვანილია ხარკოვის უნივერსიტეტში იმავე კათედრაზე.

ბალტიის ფლოტის 47 მეზღვაურთ, რომელნიც სამხედრო-საზღვაო სასამართლოსაგან დასჯილი იყვნენ უმაღლესად დანაშაული ეპატიათ. სვენტიანის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლი თავადი შერვაშიძე ინიშნება სტავროპოლის ვიცე-გუბერნატორად.

მოსკოვი. ქალაქის უფროსმა დააჯარიმა 50 მან. გაზ. „რუსკია ვედომოსტი" სტატია „მცხოვრებთა შორის" დაბეჭდისათვის.

პეტერბურგი. უმაღლესი ბრძანებით დაინიშნა 19 აგვისტოსათვის არჩევნები სათათბიროს წევრებისა კალუგის გუბერნიაში ნაცვლად დიმიტრიუკოვისა, გრაფ ორლოვ-დავიდოვისა, ნოვოსილცევისა და იანოვსკისა.

კიევი. დაიხურა სრულიად რუსეთის კოოპერატორთა კრება.

კრონშტადტი. ნორვეგიის გემი „აკილა" დაეჯახა მეორე გემს „ლეასეინოჩ"-ს უკანასკნელმა დაუყონებლივ დაძირა.

პეტერბურგი. მინისტთა საბჭომ ბაქოში გაფიცვების გამო 87 უხ. ძალით, ნება დართო საზღვარ-გარეთიდან ბაჟ-გადაუხდელად შემოიტანონ ნავთი. აგრეთვე დაადგინა ნუ გადაახდევინებენ ბაქოს საზღვარგარეთიდან 50 მილიონ ფუთის ქვა-ნახშირის შემოტანაში და ნება მისცა კავკავის გზას შეიძინოს და შემოიტანოს ბაჟ გადაუხდელად 10 მილიონი ფუთი ქვა ნახშირი.

ასტრახანი. მოვიდნენ სამი სტუდენტი, რომელთაც ჰსურთ ნავით ასტრახნიდან მოსკოვამდე იცურონ.

კიშინევი. ბესარაბიაში სეტყვისაგან გაფუჭებულია 38.600 დეს. ნათესი, ბაღები და ზვრები. ზარალი 4 მილიონისაა.

პოლტავა. საგუბერნიო საერობო გამგეობამ მიჰმართა სხვა გუბერნიების ერობებს ანკეტის მოსახდენად, რომელშიც უნდა გამოირკვიოს ერობის შეხედულება ერობათა კავშირის შესახებ.

წერილი რედ. მიმართ

პატივცემულო ბ-ნო რედაქტორო! ნება გვიბოძეთ თქვენი რედაქციის საშუალებით გადავსცეთ ჩვენ მიერ შეკრებილი 25 მანეთი მგოსანს ირ. ევდოშვილს. შემომწირველთა სია: ორ-ორი მანეთი: №...№.., ივლიანე ჩიმაკაძე, თეოფილე დვალი; თითო მანეთი: მიხეილ დოლაბერიძე, კონსტანტინე ჩაჩიბაია, სპირიდონ ლებანიძე, სერგო ლებანიძე, მიხა სხირტლაძე, ილიკო გიორგობიანი, ნიკო მხეიძე, პ. Г. Нетрєбо, კონსტანტინე დვალი, დავით ბენდუკიძე, ალექსი დვალი, ა. ზ. ქტიაშვილი; ათ-ათი შაური: ისიდორე კუციავა, ს. მ. გძელიშვილი, გიორგი სამადაშვილი, Бекъ Аваковъ, აპოლონ კაჩიშვილი, აკაკი უკლება, Оганезовъ Багратъ, ილიკო გოგლიძე, გრიგოლ გიორგობიანი, სოლომონ ხუნდაძე, სანდრო თამაზაშვილი, ნიკო ბადუროვი, ალექსი სეფიაშვილი, რომან მუსერიძე. სულ 25 მან.

ფარმაცევტები: **ივლიანე ჩიმაკაძე, თეოფილე დვალი.**

ბ. რედაქტორო! გთხოვთ თქვენ პატივცემულ გაზეთში ადგილი დაუთმოთ ამ წერილს. 27 ივლისს სოფელ წაღვერში გამართული იქნა მგოსნის ირადიონ ევდოშვილის სასარგებლოდ წარმოდგენა. შემოვიდა ბილეთების გაყიდვიდან და შემოწირულება ფულად 154 მან. 90 კ. აქედან დაიხარჯა 41 მან. 61 კაპ. წმინდა შემოსავალი დარჩა 113 მან. 29 კაპ. ამ წარმოდგენის გამგენი უღრმეს მადლობასა სწირავენ ყველა მონაწილეთა. კეთილი ინებეს და შემოსწირეს ფულად თითო მანეთი: ქ. ნინა სვანიშვილისა, ქამიტო სვანიშვილისა, სონა მახარაძისა, ბ. კოკოჩაშვილმა, ბ. სტ. ჯაფარიძემ, ბ. ვ. კიკნაძემ; ბ. ექ. მეიფარიანმა 3 მან. 50 კაპ.

სულ შემოსწირეს 10 მან. 10 კაპ. რისთვისაც დიდ მადლობას ვწირავთ შემომწირველთ.

გამგენი: **მ მურვანიშვილი, ა. სვანიშვილი.**

რედაქციამ მიიღო თინათინა ფორაქიშვილისაგან ირ. ევდოშვილის გადასაცემად 5 მან.

სულ კი დღემდე რედაქციამ მიიღო და გადასცა 956 მან. და 48 კ.

რედაქტორ-გამომცემელი
ა. ჭუმბაძე

მატარებელთა მიმოსვლა
(ზაფხულობით)
18 აპრილიდან

(დრო აღნიშნულია ტფილისის საათით).

ტფილისიდან გადის.

ბაქოსაკენ: № 6, **ჩქარი** პლაცკ. დილ. 10 ს. 16 წ., № 12, **სამგზ.-საბარგო** ნაშუადღ. 3 ს. 35 წ., № 4, **საფოსტო** საღამ. 10 ს. 16 წ., № 8, **სამგზავ.** საღ. 6 ს. 29 წ., № 106, **ნარევი** მეოთხე კლასის ვაგონით, ტვირთის გადამზიდი სამგზავრო მატარ. სისწრაფით ღამის 4 ს. 23 წ.

ბათომისაკენ: № 3. **საფ.** დილ. 9 ს. 51 წ., № 11, დილ. 11 ს. 28 წ., (ივლის პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე). № 7, **საჩქარო** პლაცკ. ნაშ. 4 ს. 40 წ., № 9, **სამგზ.** ღამის 10 ს. 30 წ., № 107, **ნარევ.** მეოთხე კლას. ვაგონებით, ტვირთ. გადასზ. სამგზ. მატ. სისწრაფით ღამ. 2 ს. 48 წ.

ბორჯომისაკენ: № 17, **სახ.** დილ. 8 ს. 2 წ. (15 მაისიდან 14 ენკენისთვემდე). № 19, **სამგზავრ.** ნაშუადღ. 3 ს. 16 წ.

მცხეთაში: № 65, **სააგარაკო** დილ. 8 ს. 46 წ., № 67, **ბ საა.** ნაშუადღ. 2 ს. 43 წ.

ეს მატარებლები ივლიან პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე კვირა-უქმე დღეობით. მატარებელი № 67, უქმის წინა დღეებშიაც. ტფილისში უკანვე დაბრუნდებიან № 65 შუადღ. 12 ს. 5 წ. და № 67 საღ. 8 ს. 28 წ.

ჯულფისკენ: საფ. № 4:3, შუადღ. 12 ს. 51 წ.

ყარსისკენ: **სახ.** № 14/13, ღამ. 12 ს. 46 წ.

ერევანისკენ: № 24;23, **საბარგ.-სამგზ.** საღ, 8 ს. 8 წ. მეორე და მესამე კლას. ვაგონებით.

ტფილისში მოდის:

ბაქოდან: № 3, საფ. დილის 9 ს. 1 წ., № 11, **საბარ.-სამგზ.** დილ. 10 ს. 28 წ., № 7, **სამგ.** მოსკოვი-კოზლოვი-რიაზანი-როსტოვი, საშუადღ. 3 ს. 53 წ., № 5, **საჩქარო**— პეტერბურგი-მოსკოვი-კურსკი-ხარკოვი, საღ. 9 ს. 35 წ., № 106, **ნარევ.**, მეოთხე კლ. ვაგონებით, ტვირთის გადასაზიდი სამგზავრო მატარ. სისწრაფით ღამის 2 ს. 12 წ.

ბათომიდან: № 10, **სამგზ.** დილ. 8 ს. 40 წ. № 12, **სამგ.** შუადღ. 2 ს. 29 წ. (პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე). № 8, **სამგზ.** საღ. 5 ს. 54 წ., № 4, **საფ.** საღ. 9 ს. 16 წ., № 106, **ნარევი** ღამ. 2 ს 12 წ.

ვკისრულობთ:

თარგმნას სიტყვა-კაზმულისა და სხვა დარგის ნაწარმოებისას და აგრეთვე ყოველგვარ საბუთის ქაღალდებისას.

კორექტურას ქართულად გამოსაცემ წიგნებისას.

შესწორებას დასაბეჭდად განზრახულ ხელნაწერებისას.

გამოცემას წიგნებისას ავტორთა ხარჯით.

პირობებზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე პირადად ამ მისამართით: ტფილისი, მუხრანის ქუჩა, „შრომის" სტამბა, სახლი № 12. [illegible]

ბაძილივიძე და ნ. (ნარ-ყანი) ...დელიშვილი.

ექიმ ნავასარდიანის
პირველი კერძო
სამკურნალო

(დაარსებულია 1880 წელს)
ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.

ავადმყოფების მიღება ყოველ დღე, გარდა კვირისა.

დილით:

„606" და „914"

11—12 ს. შეშხაპუნება კონსულტატიურად.

ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილ.) ავად.

ბ. გ. აგახაროვი: 1—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.

ქ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საშვილოსნო, ქალებისა და ბავშვებისა.

ნ. ტ. მუღანი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

მ. გ. აველტიხიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

ა. პ. კარაპეტიანცი: 12—1 ს. შინაგანი, საბავშვო და ყვავილის აცრა.

ექიმი ქალი **ო. ვ. ტერ-დავიდოვისა** 1—2 ს. საშვილოსნო და ქალების ავადმყ.

ქ. დ. გურგენიძე. 1—2 საათ. შინაგანი, საბავშვო, ყვავილის აცრა, სისხლის და შარდის ბაქტერიოლოგ. გამოკვლევა. სალამოობით 6—7 საათამდე.

საღამოთი:

მ. გ. აველტიხიანცი: 6—7 საათ.

რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.** 1004

სასანიტარო ექიმები

უბნები: 1—2 **პ. ფომინა-ოსიპოვისა** ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461).

3—4 და რუსის ბაზარში **ქრ. ლ. ქალანთაროვი** (სოლოლაკი, ამაღლების ქ. ტელ. 517).

5—6ი. **მ. ზაბლუდოვსკი** (გრიბოედოვსკი, 10. ტელ, 645).

7—8 **ნ. დ. ხატისოვი** (ნიკოლოზის ქ. № 7, ტელ. 709)

9—11 **გ. თ. ნათიშვილი** (მონუმენტის შესახვევი, № 5. 487).

10—12 **ვ. ა. მირაქოვი** (მიხეილის პროსპ. 174 ტელ. 327.)

[illegible]

უფასო საექიმო დახმარება
ქალაქის საბჭოს ექიმები.

უბნები	
1—2	**გ. ა. გელდაღინი** (სდგას ვერაზე, ოლგის ქუჩა, 22. ტელეფ. 592).
3—4	**მ. ი. შავერდოვი** (ფეთხაინის აღმართზე, 1, ტელ. 619).
5—6	**ტ. მ. თათეოსიანი** (ველიამინოვის, 4, ტელეფ. 680).
6—7	**შ. ა. მიქელაძე** (ავლაბარში, კახეთის ქ., 1, ტელ. 715).
8—9	**ე ა. მელიქ-შახნაზაროვი** (გუნიბის ქ., № 23.
10, 11—12	**ი. გ. ტერ-ნიკოგოსოვი** (მიხეილის ქ., № 169, ტელ. № 935).

ქალაქის საავადმყოფოები

მთავარი—პუშკინის ქ., შესავალი გრაფის ქუჩიდან.

ავლაბრისა—კახეთის ქ. № 15.

ხარფუხისა—ვორონცოვის ქ. 55.

კუკიისა—ჩერქეზიშვილისა, 1—18.

დიდუბისა—საგურამოს ქ. 5.

ქალაქის საბჭოს ექიმები მოვალენი არიან ღარიბ მცხოვრებთ უფასო საექიმო დახმარება აღმოუჩინონ ქალაქის საავადმყოფოებში და თვითონ ავადმყოფის ბინაზედაც ყოველმა თავ-თავის უბანში), თუ უბრალო ექიმი დილის 11 საათამდე მოიწვიეს, ვალდებულია იმ დღესვე ინახულოს ავადმყოფი, გარდა საჩქარო შემთხვევებისა, როცა დახმარება დაუყოვნებლივ უნდა მისცეს.

ქ. შ. წ.-კ. გამავრ. საზ. წიგნის მაღაზიაში იყიდება
შემდეგი წიგნები:

თხზულ. აკაკისა	ტ. 1,	1 მ.
„ „	ტ. 2-ე,	1 მ.
„ ალ. ყაზბეგისა		3 მ. 50 კ.
„ რ. ერისთავისა	ტ 1,	1 მ.
„ „	ტ. 2-ე,	40 კ.
„ შ. არაგვისპირელისა	წ. 1,	50 „
„ „	წ. 2-ე,	40 „
„ „	წ. 3-ე,	40 „
„ „	წ. 4-ე,	50 „
„ „ შიო თავადი,		60 „
„ დ. კლდიაშვილისა	ტ. 1,	75 „
„ „	ტ. 2-ე,	75 „
„ გ. წერეთლისა	ტ. 1,	60 „
„ „	ტ 2-ე,	60 „
„ ეკ. გაბაშვილისა	ტ. 1,	1—20 „
„ დ. მეგრელისა	ტ. 1,	70 „
„ „	ტ. 2-ე,	70 „

ახლად მიღებული წიგნები:

როგორ უნდა დაარსდეს და სწარმოებდეს წვრილი კრედ. დაწესებულება, ა. მ. კახელაძისა	10 „
ვეფხის-ტყაოსნის შედგენილობა, დ. კარიჭაშვილისა,	5 „
ძველი საქართველო	4 მ.— „
Изъ лингвист. поѣздки въ Абхазію, Марра,	50 „
Очерки по этнологіи Кавказа, Чурсина	60 „

სარგის კაკაბაძე.

ბაგრატ მეფე, მე-15 ს. რაჭა-არაგვეთის მფლობელი,	10 „
ბაგრატ უცნობი მე-14 საუკ. რაჭა-არაგვეთის მფლობელი	10 „
სიგელი ქართლის მეფე კონსტანტინესი, 1488 წ.	10 „
ვინ იყო და როდის ცხოვრობდა სარგის თმოგველი?	20 „
მე-13 საუკ. პირვ.-ნახევრის საქართველოს კათალიკოზები	10 „
თმოგველთა გვარის ისტორიისათვის	15 „
დავით აღმაშენ, მემატიანის ვინაობა	10 „
სამართ. კათალიკოზისა და მისი შედგენის დრო,	10 „
ძეგლის დადება გიორგ. ბრწყ. მიერ	20 „
თავგადასავალი იესე ოსეს შვილისა	1—20 „

ადრესი: Тифлисъ. Книжный магазинъ О-ва распр. грам. ср. груз. нас. 121.

გამოსულია და იყიდება

ი. გედევანიშვილის პიესა
„გამცემი"

დრამა 3 მოქმედ. ფასი 25 კ.

თქვენი თვალით იხილეთ და დარწმუნდებით

სამკურნალო
აბანო
მეიროფასი მთის ძაერზე
ძმ. ურუშაძეების
აბანო მუდმივ განაგრძობს მუშაობას

ხრესილი ხრესილი

1385

მ. ა. მთავრიშვილის
წიგნის მაღაზია

ამით აუწყებს პატივცემულ საზოგადოებას, რომ ამა წლის 1913—1914 სასწავლო წლისათვის დამზადებული აქვს დიდ-ძალი

სახელმძღვანელო და სხვა წიგნები,

რომელნიც კი იხმარება ქალაქ ქუთაისისა და ქუთაისის გუბერნიის დაბალსა და საშუალო სასწავლებლებში. **ფასები საკმაოდ დაკლებულია.** [illegible]

1413

გამოსულია და იყიდება

ნ. შიუკაშვილის
პიესა „მეგობრობა", დრამა 4 მოქმედ. ფასი 30 კაპ.

შპალიერების

МАГАЗИНЪ М. Л. ТЕРЪ-КАРАПЕТЯНЦА ОБОЕВЪ

სპეციალური მაღაზია

მ. ლ. ტერ-კარაპეტიანცისა,

ახლად გახსნილი (პუშკინის ქ., თამამშევის ქარვასლა).

ახლად მიღებულია საქონელი სხვა და სხვა **რუსეთის, პოლონეთის და ფინლანდიის** ცნობილ ფაბრიკებიდან. **თოფი 8 კ.-დან** დაწყებული და უფრო გაყიდვა ნაჭრობით და ერთბაშად ძვირად ზომით (11¼ არშინ.) შეკვეთილ საქმის ასრულება სწრაფად და სუფთად. 1415

მუდამ დღე მოგვდის
ახალ-ახალი

თევზის მრეწველნი
ძმ.
ძმებელოვები.

მტკვრისა თართი, ზუთხი, ლოქო, და სუდაკი.

ახალი მსხვილ-მარცვლოვანი
ხიზილალა
ქოტაჭ

აგრეთვე ყოველ დროს იყიდება მაღაზიაში **მარინ. ლოქო, იაძი, შიპა, ზურგიილანი,** სხვა ყოველ-ნაირი **თევზეულობა** და
კონსერვები.

პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ. № 9.
ტელეფონი № 712.

მუხრანის ქუჩა, სტამბა „შრომა".